ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №40 (1670) | 5-8 ივნისი, 1998 წ. ● ფასი 50 თეთრი

დასავლეთი და რუსეთი ნავთობსადენისთვის ებრძვიან ერთმანეთს. მოიგებს ის, ვისი კაციც იჯდება საქართველოს სათავეში

მესამე გვერდი



მეორე გვერდი

ერთ კაცზე ორიენტირებული ქვეყანა განწირულია დასალუპავად. ანუ რას მოგვიტანს შევარდნაძის გადადგომა?

ეგვიპტელი ქურუმი ანხუ და ქართული სინამდვილე

მეთერთმეტე გვერდი

ქართული ემიგრაცია

საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ

მე-7 გვერდი

ფირმა „ომეგას“ თანამშრომლებზე ნადირობა გრძელდება? მე-11 გვერდი

პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

მეოთხე გვერდი

კრიმინალური ქრონიკა

მეთორმეტე გვერდი

რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისთვის და მისი გაკვეთილები

მეექვსე გვერდი



ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲘᲤᲝᲠᲛᲔᲑᲡ

„რუსეთის სამშვიდობო ძალები ცდილობენ ფაქტობრივად მიტაცებული აფხაზეთის იურიდიულად გაფორმებას“ - ასეთ კომენტარს უკეთებს საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის“ თავმჯდომარე, გერმანე ფაცაცია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ბორის პასტუხოვის განცხადებას, რომ თუ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არ შეწყდება ცილისმწამებლური მუქარა სამშვიდობო ძალების მიმართ, ისინი თავად დასვამენ სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გამოყვანის საკითხს.

გერმანე ფაცაციას თქმით: „მალე პასტუხოვი სეპარატისტული აფხაზეთის ენით დაიწყებს ლაპარაკს რუსეთის სამშვიდობო ძალების კონფედერაციის ჯარებით ჩანაცვლების თაობაზე, რომლითაც ფაქტიურად ანექსიის რეჟიმი არ შეიცვლება“.

ᲔᲠᲗᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲓᲐᲜ ᲝᲠᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲘᲐ

ედპ-ს თავმჯდომარე, ირინა სარიშვილი-ჭანტურია აბსურდულად მიიჩნევს ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის, აკაკი ასათიანის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი აჭარის ლიდერი, ასლან აბაშიძეა. როგორც გეა-ს კორესპონდენტს ედპ-ს ლიდერმა განუცხადა, იმას, რომ აბაშიძე და ასათიანი ერთი გუნდის წევრები არიან, აღარავინ მალავს, სწორედ ამიტომ, მისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ერთი გუნდიდან ორი პოლიტიკოსი აყენებდეს საკუთარ კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე და ამასთან, ერთი მეორის აშკარა უპირატესობას აღიარებდეს.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲐᲜ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲡ, ᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲡ

„იმ პოლიტიკური პარტიების სახით, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ, რუსეთი არა უშუალოდ შევარდნაძეს, არამედ მის მიერ არჩეულ კურსს ებრძვის, რომელსაც აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება ძალუძს“ - განაცხადა ედპ-ს ლიდერმა, ირინა სარიშვილმა-ჭანტურიამ გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას. მისივე თქმით, ამ პარტიებს სურთ შევარდნაძემ აღნიშნული კურსი შეცვალოს, ან აიძულონ იგი გადადგეს.

სარიშვილი-ჭანტურია, იმის გათვალისწინებით, რომ შევარდნაძემ დსთ-ში შესვლით თავისი კურსი ერთხელ უკვე შეცვალა, უფრო შესაძლებლად პრეზიდენტის მიერ სწორედ კურსის ცვლილებისკენ გადახრას მიიჩნევს. „დსთ-ში შესვლით შევარდნაძემ მონინააღმდეგისთვის ჩელსაყრელი საქმე გააკეთა და მაშინ მას ბევრი ოპოზიციური პარტია შემოურიგდა, მათ შორის, ტრადიციონალისტებიც“ - აცხადებს ედპ-ს ლიდერი. რაც შეეხება გადადგომას, ამ მიზნის მიღწევისთვის აღნიშნული ძალებისგან არც ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მცდელობას გამორიცხავს, რისი პრეცენდენტიც საქართველოს უახლეს ისტორიაში უკვე იყო. „ასე რომ, მთავარია, შევარდნაძე არა მარტო არ გადადგეს, არამედ კურსიც უცვლელი დატოვოს“ - აცხადებს სარიშვილი-ჭანტურია.

ᲗᲣ ᲠᲐᲛᲔᲚ ᲘᲪᲘᲗ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები საჭიროდ მიიჩნევენ მოსახლეობასთან ურთიერთობის ერთ-ერთი აღიარებული ფორმის „ნდობის ტელეფონის“ დანერგვას, რადგან საქართველოშიც გახშირდა ტერორისტული აქტები.

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები თხოვნით მიმართავენ ქვეყნის მოქალაქეებს, ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებული მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაცია დღე-ღამის ნებისმიერ დროს მიანოდონ ძალოვან სტრუქტურებს შემდეგ ტელეფონის ნომრებზე:

საქართველოს პროკურატურა: 98-21-54

სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო: 93-20-46

შინაგან საქმეთა სამინისტრო: 93-23-00; 99-95-24

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური: 92-00-22

ინფორმაციის მიმწოდებლის ანონიმურობა გარანტირებულია. მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მოქალაქე დაჯილდოვდება სოლიდური თანხით.



ᲜᲣ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘᲗ ᲑᲔᲠᲔᲖᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲐᲓ

„ტყუილად ვამყარებთ იმედებს ბორის ბერეზოვსკის ვიზიტებზე“ - აცხადებს ფრაქცია „სახალხოს“ წევრი, ვანო ხუხუნაიშვილი, რადგან ბერეზოვსკი ასრულებს იმ სახელმწიფოს დავალებასა და, საქმეს, რომლის სამსახურშიც დგას.

გალთან მიმართებაში სრულიად აშკარად გამოჩნდა ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურების უსუსურობა. საქართველოს მთელი პოლიტიკური ელიტა მოტყუებული და გაცრუებული აღმოჩნდა - მიიჩნევს ვანო ხუხუნაიშვილი და ამ ყველაფრის საფუძველს საქართველოს ხელისუფლების პოზიციაში, უფრო სწორად, უპოზიციობაში ხედავს.

«ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲢᲘᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ» ᲕᲘᲜᲓᲚᲐᲐ?

ქართველ ლეიბორისტთა ლიდერი, შალვა ნათელაშვილი საქართველოს ხელისუფლებას რუსეთში არსებულ ანტირუსულ ძალებთან ალიანსში ადანაშაულებს და თვლის, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დაძაბვა სწორედ იმ ძალებისგან დაიგეგმა, რომლებსაც შავი ზღვის სანაპიროს ხელში ჩაგდება სურთ და ვინც რუსეთს ჩეჩნეთი „დააკარგვინა“.

ნათელაშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება რუსეთში არსებულ ამ ანტირუსულ ძალებს საკმაო საფუძველს აძლევს საიმისოდ, რომ საბოლოოდ დავკარგოთ აფხაზეთი.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამის ინიციატივით საგარეო უწყებამ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უმასპინძლა.

შეხვედრის ძირითადი თემა გალის რაიონში მომხდარი ტრაგედიის შედეგები, ზუგდიდში და ზუგდიდის რაიონში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს კრიზისიდან გამოსვლის სამომავლო გეგმებზე.

გეა

ᲔᲠᲗ ᲙᲐᲪᲖᲔ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲚᲣᲞᲐᲕᲐᲓ ᲐᲜᲣ ᲠᲐᲡ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲐᲜᲡ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲐ?



გალში დატრიალებული ამბების შემდეგ საპარლამენტო ოპოზიციისა და პარლამენტს გარეთ მყოფი პოლიტიკური პარტიების ერთმა ნაწილმა ხელისუფლებას და პირველ რიგში, თავად პრეზიდენტს უნდობლობა გამოუცხადა და ამ უკანასკნელის გადადგომაც მოითხოვა. თუ ლოგიკურად მივადევნებთ თვალს დღევანდელი მთავრობის თითქმის შვიდწლიან მმართველობას, საფიქრებელია, რომ მოთხოვნა ხელისუფალთა გადადგომის შესახებ სრულიად მართებულია. და ის ბრალდებები, რაც ზემოთხსენებულმა პარტიებმა წაუყენეს ქვეყნის პირველ პირს და მის გუნდს, საფუძვლიანი ნამდვილად არის. აქედან გამომდინარე, შევარდნაძეს და მის გარემოცვას არც მორალური და, მით უმეტეს, არც პოლიტიკური უფლებები არა აქვთ იმისა, რომ ხელისუფლების სათავეში იყვნენ.

თუ რა მოგვიტანა შევარდნაძისა და მისი გუნდის მმართველობამ ამ შვიდი წლის მანძილზე, მკითხველმა დიდებულად უწყის და ამაზე საუბარი წერილში არც ღირს. ახლა მთავარია, ვიფიქროთ, თუ რას მოგვიტანს შევარდნაძის მმართველობა ახლო მომავალში, ანუ საპრეზიდენტო და საპარლამენტრო არჩევნების დადგომამდე?

მავანთა და მავანთა აზრით, ანუ მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის შეხედულებით, 2000 წლამდე ამათ ხელში კიდევ უფრო დავიქცევით და გავნადგურდებით. იმათი აზრი, ვინც აქტიურად თუ პასიურად უჭერს მხარს შევარდნაძეს, დღეისათვის მხოლოდ ერთ, ლამის პანაცეად ქცეულ კითხვამდე დადის: თუ შევარდნაძე არა, ვინ იქნება მაშინ? ეს კითხვა, რა თქმა უნდა, გულისხმობს ქვეყნის დღევანდელი ლიდერის ალტერნატივას და მის დამსმელთა გონებაში იგი უპასუხოდაც რჩება, რადგანაც მათი თვალსაწიერი მხოლოდ შევარდნაძეზეა ორიენტირებული და მის მიღმა ვერავის ხედავს.

ვთქვათ და მართლაც გადადგა შევარდნაძე. რა მოხდება მაშინ? ამ კითხვაზე ერთნი ასეთ პასუხს გასცემენ: გადადგა და გადადგა, რა მოხდა მერე, საქართველო უშევარდნაძეოდაც იარსებებსო. მეორენი თვით ამ ფაქტის დაშვებასაც კი არ მოიაზრებენ და ვერ წარმოუდგენათ სახელმწიფო დღევანდელი პრეზიდენტის გარეშე, რადგანაც მათ ცნობიერებაში სახელმწიფოებრივი მართვა და ეს უკანასკნელი ლამის გამთლიანებულია. მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ქვეყანა, რომელიც ერთ კაცზეა ორიენტირებული და მასზე ამოსდის მზეც და მთვარეც, განწირულია დასაღუპავად. თუმცა თავად პრეზიდენტმაც შეუწყო ხელი ამ გარემოებას, საკუთარ პიროვნებაზე მოირგო ეს სახელმწიფო და მისი წასვლის შემთხვევაში, ფაქტიურად, ქვეყანა ქაოტურ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ალბათ, ამიტომაც ხდება ხოლმე, რომ პრეზიდენტი, არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც გვაშინებს პოსტიდან გადადგომით და თუ სოხუმის დაცემის შემდეგ მის მომხრეთა დიდმა ნაწილმა, პირდაპირი გაგებით, დაუჩოქა და შეეხვეწა, არ დაგვლუპო, არ წახვიდეო, ამჯერად რატომღაც, ასე არ მომხდარა. შესაძლოა ერთი ქართული იგავისა არ იყოს, ისინი უკვე შეეჩვივნენ მსგავს განცხადებებს უმაღლესი ხელისუფალის პირიდან და რეაქციაც, შესაბამისად, მოუდუნდათ.

პარლამენტი და ის გუნდი მთავრობის სახით, რომელიც ბ-ნი ედუარდის გარშემოა შემოკრებილი, საკმაოდ ულიმღამო პოლიტიკური ფიგურებისაგან შედგება და სავარაუდოდ, თუ შევარდნაძე დატოვებს თანამდებობას ან სულაც მომავალ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, ისინი იმ ვირთხებივით გაიქცევიან და მიიმალებიან საკუთარ სოროებში, ჩასაძირად განწირული გემის გემბანიდან რომ გარბიან ხოლმე. ლეკიშვილი, ჟვანია და მათი ქვემდგომნი ვერ ზიდავენ იმ ტვირთს, რასაც ქვეყნის მართვა ჰქვია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმართვის არც უნარი აქვთ, არც ნიჭი და, ასე განსაჯეთ, ალბათ, არც პასუხისმგებლობის აღების სურვილი. თუმცა, არაა გამოსარიცხი, რომ გარკვეულ მომენტში ისინიც წაეპოტინონ საპრეზიდენტო სკამს და ამისთვის, ალბათ, ძალაუფლებისა და ხელისუფლების ხელში აღების დაუოკებელი სურვილი იქნება მთავარი წარმართველი ძალა.

შევარდნაძემ ამ უკანასკნელ ხანს პოლიტიკური ორგანიზაციების მოთხოვნას იმით უპასუხა, რომ არსებული კურსი სწორი კურსია და

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲕ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

ამ დღეებში სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში იმყოფებიან რუსთავის მეტალურგიული კომბინატის წარმომადგენლები. მათი ვიზიტის მიზანია სააქციო საზოგადოება „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ აქციათა საკონტროლო პაკეტის მართვის უფლების მოსაპოვებლად გამართულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას — „მეტალოგაზოილინვესტსა“ და ქონების მართვის სამინისტროს შორის ხელშეკრულების გაფორმება.



დოკუმენტაციის მოსამზადებლად ჩამოსულია უცხოელ ინვესტორთა ჯგუფი. სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ავთანდილ სილაგაძის განცხადებით, ამჟამად მიმდინარეობს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. სამინისტროს მხრიდან ამ პროცედურას ხელმძღვანელობს მინისტრის მოადგილე დავით შელაშვილი.

ავთანდილ სილაგაძის თქმით, ჯერჯერობით, დოკუმენტები მზადების პროცესშია. მოსალოდნელია, რომ უახლოეს დღეებში მოხდება ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება. მინისტრმა დადებითად შეაფასა ინვესტორთა მიერ გადადგმული ნაბიჯი, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ თუკი ამჯერადაც არ მოხდება ქონების მართვის სამინისტროსა და „მეტალოგაზოილინვესტს“ შორის ხელშეკრულების გაფორმება, მაშინ დღის წესრიგში დადგება ტენდერის შედეგების გაუქმების საკითხი.

რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს აქციათა საკონტროლო პაკეტის მართვის უფლებით გადაცემაზე კონკურსი მიმდინარე წლის 9 იანვარს დასრულდა. სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად შპს „მეტალოგაზოილინვესტი“ დაასახელა, რომელსაც სააქციო საზოგადოების საკონტროლო პაკეტი 10 წლით მართვის უფლებით გადაეცა. კონკურსის პირობების თანახმად, „მეტალოგაზოილინვესტმა“ 5 წლის განმავლობაში 50 მლნ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და უცხოელ ინვესტორებს შორის ხელშეკრულება უკვე დიდი ხნის გაფორმებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ გარკვეული პრობლემების გამო ხელმოწერა ვერა და ვერ მოხერხდა.

სწორედ ხელშეკრულების გაუფორმებლობამ გამოიწვია რუსთავის მეტალურგიულ კომბინატზე გამოცხადებული ნულოვანი აუქციონის ვადის გაგრძელება. კომბინატის აქციათა 47%-ზე საწყისი ფასის გარეშე აუქციონი 21 აპრილს გამოცხადდა და იგი 6 მაისს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მანამდე ორი დღით ადრე „მეტალოგაზოილინვესტმა“ ახალი, მანამდე უცნობი პირობები წამოაყენა, რის გამოც, როგორც აღვნიშნეთ, „ნულოვანი“ 1 აგვისტომდე გაგრძელდა.

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ავთანდილ სილაგაძის განცხადებით, რა თქმა უნდა, ამჟამინდელი ხელშეკრულების გაფორმება და მიმდინარე ნულოვანი აუქციონი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე და, საბოლოოდ, ხელშეკრულების ხელმოწერაზე ბევრ რამ არის დამოკიდებული. თუმცა, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ნულოვანი აუქციონი მაინც სხვა საკითხია და იგი ნებისმიერ შემთხვევაში სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს. ჯერჯერობით სანამ ხელშეკრულება გაუფორმებელია, ძნელია ამ კუთხით რაიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე საუბარი.

„საწყისი ფასის გარეშე აუქციონზე მხოლოდ „მეტალოგაზოილინვესტთან“ ურთიერთობის გარკვევის შემდეგ ვიმსჯელებთ. თუკი ხელშეკრულება არ გაფორმდა, სავარაუდოა, რომ ნულოვანის მიზანშეწონილობის საკითხიც დაისმება, — განაცხადა მინისტრმა.

ექსპერტების აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭება უცხოელ ინვესტორებს და ქონების მართვის სამინისტროს შორის დადებულ ხელშეკრულებას. ეს საშუალებას მისცემს კომბინატს გააგრძელოს წამოწყებული საქმე და მძლავრად აამუშაოს თავისი წარმოება.

ამავე აზრს იზიარებს ავთან-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲕ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

დასავლეთი და რუსეთი ნავთობსადენისთვის ებრძვიან ერთმანეთს. მოიგებს ის, ვისი კაციც იჯდება საქართველოს სათავეში

გაგრძელება. დას. იხ. „საქართველო“ № 30,33,34,36,39

ხალხის უმრავლესობა შევარდნაძეზე თავდასხმას უყურებს, როგორც საინტერესო ტელესერიალს, როგორც შეჯიბრებას, სადაც ჯერ ფსონს არავინ ჩამოდის. პლუტოკრატიის ეს შინაგანი გარჩევები უკვე არავის აღარ აღელვებს. მასისთვის გათვალისწინებული ტელე-საგაზეთო შოუები კონფლიქტში მყოფი მხარეების ურთიერთმიმართ ბრალდებებითა და მუქარით უკვე კარგავს თავის მომხიბვლელობას.

ყოველივე ეს ძალიან ჰგავს ილუზიონისტების მუშაობას პუბლიკასთან, როცა ერთი არაფრისმომცემი ხელის აქნევით იპყრობენ ყურადღებას და ამ დროს მანიპულირებენ მეორე ხელით და აკეთებენ ფოკუსს. გარედან ეფექტური პოლიტიკურ-ტერორისტული ანტურაჟებით ყურადღებას იპყრობენ და მეორე ხელით კი იჯიბავენ, რაც ხელში ხვდებათ. ჩვენ კი იმ ბოთეების როლში ვრჩებით, რომლებიც მხოლოდ მას შემდეგ შემოირტყამენ თავში ხელს, როცა ქურდი უკვე გაქცეულია.

მაგრამ ჯობია გვიან, ვიდრე არასდროს. დავუსვათ რამდენიმე კითხვა ლპობაშეპარულ დემოკრატებს. პირველი კითხვა გაზეთ „ახალ საქართველოში“ საქართველოს სავაჭრო ფლოტის გაქრობასთან დაკავშირებით კარგადაა გაშუქებული, მაგრამ გაქრა არა მარტო სავაჭრო, არამედ თევზსაჭერი ფლოტიც. ათეულობით გემი, რომელთაც საქართველოს გამოკვება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ხალხის „არადიეტური შიმშილის“ მოხსნა შეეძლოთ, უბრალოდ აორთქლდა.

რიგითი მკითხველისათვის რომ გასაგები გახდეს რაზეა საუბარი, განვმარტავთ: 60-იანი და 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოყალიბდა საოკეანო თევზჭერის ფოთის სამმართველო (სთფს), რომლის შემადგენლობაში იყო რამდენიმე ათეული დიდი სამაცივრო ტრაილერი, რომლებიც ფაქტიურად მცურავი ქარხნებია 8-15 ათასი ტონა თევზის გადამუშავების წარმადობით წელიწადში.

ჩვენს თაობას კიდევ ახსოვს „მოივა“, „სკუმბრია“, „ხეკი“ და „ოკეანის ნობათი“, რომლებითაც ავსებული იყო მაშინდელი მაღაზიების დახლები. ყველა ეს პროდუქცია დაჭერილი და გადამუშავებული იყო სთფს-ს მიერ ატლანტიკის ოკეანეში. საქართველოს წილობრივი მონაწილეობით კანარის კუნძულებზე, ლას-პალმასში ჩამოყალიბდა სარემონტო ბაზა „სოვისპანი“, სადაც ყველა ეს მცურავი ქარხანა დგებოდა მცირე და საშუალო რემონტზე, სადაც ქართველი სპეციალისტებიც მუშაობდნენ.

მოპოვებული პროდუქციის საერთო მასა დაახლოებით 250-300 ათას ტონას შეადგენდა, რაც გადაანგარიშებით დაახლოებით 50-60 კილოგრამ თევზპროდუქტებს შეადგენს ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში. ამასთანავე სთფს-ს წარმოება ფაქტიურად უნარჩენოა. ყოველწლიურად სთფს რესპუბლიკას აძლევდა ათეულობით ტონა ფქვილს ბროილერების გამოსაკვებად (გემახსოვრებათ თევზის სუნიანი წიწილები), წებოსათვის და ა. შ. პროდუქციის ნაწილი იყიდებოდა დასავლეთში, რაზეც ხელს ითბობდნენ სსრკ თევზის მრეწველობის სამინისტროს უმაღლესი და საშუალო რანგის ჩინოვნიკები, თვით „დიდწარბას“ პირადი მეგობრის იზკოვის, ზემოთ ხსენებული სამინისტროს მინისტრის ხელმძღვანელობით. როცა ნაქურდალმა თანხამ მილიარდ დოლარს მიაღწია, ეს საქმე სსრკ გენერალურმა პროკურატურამ გამოითხოვა. ზემდგომ ნაძირალას მისცეს ლენინის ორდენი და დამსახურებულ პენსიაზე გაუშვეს. მისი მოადგილე, როგორც სხვა წვრილი ზვიგენები, დახვრიტეს. ამ საქმემ მიიღო დასახელება „ოკეანე“.

მაგრამ პრაქტიკულად არავინ (საქ. კპ. ცეკას გარდა თავისი ხელმძღვანელის მეთაურობით) არ იცოდა, რომ ამ „ნახტომში“ აქტიურად მიიღეს მონაწილეობა საქთევზმრეწვისა და სთფს-ს ხელმძღვანელებმა. საქთევზმრეწვის ხელმძღვანელი საბანაძე პროცესამდე გარდაიცვალა და თბილისში ჩამოსულ გენპროკურატურის ბრიგადამ მხოლოდ სიკვდილის ფაქტის კონსტატირება მოახერხა. რამდენიმე მნიშვნელოვანი მოწმე მოკლეს ან ერთერთ საყინულე საკანში გაყინული ოსტატივით საკმაოდ უცნაურ ვითარებაში გარდაიცვალა. საქთევზმრეწვის შემდეგი მმართველი, ყოფილი აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, გამომძალველი და მექრთამე უკლება, რომელიც ახლანდელმა პრეზიდენტმა დანშნა, მალევე ჩაფლავდა. ამბობენ, ჩვევა — მეორე სახეაო, იგი ქრთამს იღებდა ვიზებისათვისაც კი, როცა ბათუმში საზღვარგარეთ მიმავალი მეზღვაურების ვიზირების კომისიას ხელმძღვანელობდა. მაგრამ საქმე დამუხრუჭდა, შევარდნაძემ თავისი პროტეჟე არ განირა.



ახლა ისევ დავუბრუნდეთ ფოთის თევზჭერის სამმართველოს, დსტ ძვირადღირებული გემია, და მიუხედავად იმისა, რომ ამ გემებმა უკვე 15-20 წელი იცურეს, თვითეულის ღირებულება 2 მლნ. დოლარზე ნაკლები არაა. მაშ სად გაქრნენ ისინი? შევარდნაძე, როგორც ყოველთვის, ღრმადმნიშვნელოვნად დუმს, დუმს მისი გარემოცვაც. და ამ დროს როგორ არ უნდა გაგვახსენდეს გადამგდებების მანიპულირება. ჩვენ მივჩერებივართ „პოლიტიკური“ ინტრიგის ფაბულის დინამიურობას და ამ დროს მეორე ხელით ჯიბეებს გვისუფთავებენ. მესამე საკითხია საგუბერნიო მეურნეობების მოშლის საკითხი. ამ მეურნეობების სისტემა საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა და მოსახლეობას არც გუბურების თევზის უკმარისობაზე შეიძლებოდა ეწუწუნა. მაგრამ ერთბაშად ყველაფერი დაინგრა, გუბურები ამოივსო, მეთევზეები გაიქცნენ. რატომ?

შევჩერდები ამ კითხვაზე, რადგან საქართველოს ეკონომიკური სიტუაცია თხოულობს ცალკე სერიოზულ საუბარს. აპრიორად გამოვთქვამ ჩემი მოსაზრებების ძირითად დებულებებს ამ საკითხზე.

ეკონომიკურად ძლიერი საქართველო არც დასავლეთს და არც რუსეთს არ სჭირდება. მათ თავისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის სჭირდებათ ნედლეულის ბაზა. კერძოდ, თურქეთისათვის კი საქართველო არასაინტერესოა როგორც გასაღების ბაზარი. ამ საკითხში რუსეთი და დასავლეთი მოქმედებენ შეწყობილად და შეთანხმებით.



მრეწველობის ნგრევისა და დამორჩილების ინსტრუმენტად გამოყენებულია სსფ, რომლის კონცეფციაც საბოლოოდ მომპოვებელი წარმოების გადარჩენაზე (სპილენძი, მარგანეცი, ოქრო, ფერადი ლითონები) და გადამამუშავებელი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის კონსერვაციაზეა გათვლილი.

დასავლეთის მხრიდან საკრედიტო-საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოს ფინანსური დაკაბალებისაკენაა მიმართული (საგარეო ვალი დაახლოებით 2 მლრდ. დოლარია, რაც თითქმის 500 დოლარს აღწევს სულ მოსახლეზე).

რუსეთი კი თავისი კატასტროფული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, და იმის გამო, რომ მან ფაქტიურად დაკეტა თავისი ბაზარი საქართველოს პროდუქციისათვის, იყენებს პოლიტიკურ-სამხედრო მეთოდებს (აფხაზეთი, სამაჩაბლო, აჭარა პერმანენტულად მესხეთ-ჯავახეთის საკითხის პერმანენტული გაღვივება).

ამავე დროს დასავლეთსა და რუსეთს ნავთობსადენთან დაკავშირებით ანტაგონისტური წინააღმდეგობა აქვთ. და ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისი დასმული კაცი იქნება საქართველოს სათავეში. აქედანაა ყველა ის პოლიტიკურ-კრიმინალური კოლიზიები, რასაც თვალყურს ვადევნებთ წლების განმავლობაში.

ჩვენი მარგინალის ორსკამზე ჯდომის მცდელობა იწვევს ხან კრიმინალურ-კლანური გარჩევების, ხან კი ეთნო-ეროვნული შეტაკებების (მოსკოვის პროვოცირებულ) სპორადულ აფეთქებებს.

ბუნებრივია, რომ ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობის ფონზე მთავარი „ეკონომიკური“ კატეგორია გახდა კორუფცია. კორუფციის ამალგამამ და ხალხის „პადელნიკობამ“ მიგვიყვანა იქამდე, რომ სახელმწიფო ქურდობა გახდა არა სახელმწიფო მართვის ფორმა, რომელიც შეიძლება შეიცვალოს, არამედ თითქმის მთელი ხალხის ცხოვრების წესი (ყველა სახელმწიფო თანამდებობა ფასდება როგორც „სინეკურა“, საჭმელი ადგილი).

ხალხის გამხრწნელი პარტიულ-სამეურნეო კრიმინალიტეტი ხელახლა, თითქმის მთელი შემადგენლობით დაადგა ხალხს კისერზე და დაიწყო ამით სარგებლობა. საკმარისია ვთქვათ, რომ მიზნობრივი სესხებიც კი იფლანგება. გრძელდება „ნადიმი ჟამიანობისას“.

კანონიერების სახელს ამოფარებული ყველა ამ კრიმინალური მანიპულაციის შედეგად, ხალხი ფიზიკური გადარჩენის წინაშე აღმოჩნდა, ხოლო საზოგადოების მთავარ ემოციურ ძალად, მის თავისებურ ეროვნულ რელიგიად, სიძულვილი იქცა. იმუშავა ხალხის სტრესულ მდგომარეობაში ჩაყენების ფაქტორმა.

ხალხს შეეძლო გაეძლო უმაღლესი დაძაბულობისათვის, შიშისათვისაც კი, თუ ყოველი ადამიანი დარწმუნებული იქნებოდა, რომ ყველას ერთნაირად ემუქრება გაჭირვება და ხიფათი. მაგრამ მმართველი ელიტის „გაგრიალებამ“, მისმა ზიზღმა ხალხის გაჭირვებისა და ტანჯვის მიმართ, მისმა სამზეოზე გამოტანილმა სიმდიდრემ (ამავე ხალხისთვისვე მოპარულმა) მიგვიყვანა დანგრეული საზოგადოების განწირულ, ქაოსურ ცემა-ტყეპამდე, სადაც ყველა თავისთვისაა.

ათასობით პატარა „პრეზიდენტის“ თავნებობით დატანჯული ქართველი ხალხი, რომელთაც მეორეს მხრივ ზღუდავს ადგილობრივი ტრადიციები და ცრურწმენები (რაც იმავე პარტნომენკლატურის მიერაა კულტივირებული) ფართო საზოგადოებრივი მოძრაობისათვის მთელი საქართველოს მასშტაბში მოუმზადებელი აღმოჩნდა თავისი საჭირბოროტო ინტერესებისათვისაც კი.

და თავისი სამხედრო და პოლიტიკური უნიჭობით თავის უბედურ სამშობლოზე ჯავრნაყარმა კაცმა (უცხოელთა ხიშტების დახმარებით) ხელახლა შეძლო მმართველის სავარძელში ჩაჯდომა.

ვლადიმერ ხვედელიძე

დასასრული შემდეგ ნომერში

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲖᲔ



პრეზიდენტის 1 ივნისის რადიოინტერვიუ განსაკუთრებით რთული თავისი შინაარსითაც და თავისი კონტექსტითაც (ანუ იმით, თუ რა პირობებშია მიცემული იგი), რის გამოც მკითხველთან ბოდიში უნდა მოვიხადოთ და, ჩვენი მხრიდან, ერთიორად უფრო გრძელი კომენტარი შევთავაზოთ. შინაარსით რთული იგი იმ მხრივ არის, რომ მასში, როგორც ნვეთ წყალში, მოჩანს პრეზიდენტის პოლიტიკური აზროვნების და პოლიტიკური პრაქტიკის გამოუსწორებელი მანკიერება (ხაზს ვუსვამთ: გამოუსწორებელი და შეუქცევადი მანკიერება), ხოლო კონტექსტით რთული იგი არის იმიტომ, რომ მსოფლიო სუპერძალების გარემოში მოქცეულ საქართველოს თავისი ყველა ნაბიჯის გათვლა დღეს ამ ძალების ურთიერთგანლაგების გათვალისწინებით უხდება.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ.

პრეზიდენტი მართალია იმაში, რომ 24 მაისს, როცა ქართველი შეიარაღებული მოქალაქეების და აფსუურ-სომხურ-კაზაკურ-რუსულ-ჩრდილოკავკასიურ (იგულისხმება: დასავლეთ ჩრდილო კავკასიური) რაზმებს შორის ბრძოლა მოხდა, ომის გაგრძელება და გაღრმავება საქართველოსთვის სტრატეგიულად ხელსაყრელი არ იყო. მაგრამ ხელსაყრელი არ იყო არა იმ მიზეზების გამო, რასაც პრეზიდენტი ასახელებს ან გულისხმობს, არამედ სულ სხვა მიზეზების გამო. სახელდობრ, ომი ჩვენ არ შეგვეძლო (და დღესაც არ შეგვიძლია) შემდეგი მიზეზებით:

ა) გალის რაიონთან ჩვენი კომუნიკაცია მონინააღმდეგისაზე სუსტია და სუსტი იქნება მანამდე, სანამ ენგურის დიდი ხიდი მტერს (რუსეთის „სამშვიდობო“ ძალას) უკავია.

ბ) ჩვენს ზურგში რუსეთის სამხედრო ბაზებია, მათი „სახურავის“ ქვეშ კი მრავალათიათასიანი რუსული აგენტურაა, — საქართველოში დესტაბილიზაციის მთავარი ყოველდღიური წყარო.

გ) ნადიბაიძის „მოღვაწეობით“ დანგრეულ არმიას გაჯანსაღება უნდა.

დ) ეკონომიკაში, როგორც მინიმუმი, „ჯოხის დისციპლინის“ შემოღებაა საჭირო (რასაც კვირეები სჭირდება და არა წლები).

ე) ომს ნამდვილი მთავარსარდალი უნდა და არა შევარდნაძის მსგავსი.

უკლებლივ ყველა ხსენებული დეფექტი შევარდნაძის პირადი დანაშაულის შედეგია და ვერც ერთი ვერ გასწორდება შევარდნაძის პრეზიდენტობის პირობებში. მაგრამ ეს დეფექტები **არის** და მათი უგულებელყოფა არ შეგვიძლია. ფაქტია ისიც, რომ რუსებს დღეს (შესაძლოა, იმპერიული „სულნასულობით“ უფრო, ვიდრე ჯანსაღი და გრძელვადიანი ანგარიშით) შევარდნაძის შეცვლა მიზანშეწონილად მიაჩნიათ. პრეზიდენტი მართალია იმაშიც, რომ საქართველოში მარიონეტობის ახალ კანდიდატად მათ, უთუოდ, ვიღაცა „ყურმოჭრილი მონა“ ეგულებათ, თუმცა, რასაკვირველია (დღეს ეს უკვე ცხადია), იგი მართალი არ არის, როცა საკუთარ თავს ჯერ კიდევ „ყურმოუჭრელ“ პოლიტიკოსად თვლის.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲪᲓᲔᲑᲐ

დიქტატურისა და დემოკრატიის საკითხში პრეზიდენტი ცდება, როცა ფიქრობს — და მსმენელს აყვედრის — საქართველოში დიქტატურის დამყარება შემეძლო, მაგრამ არ დავამყარეო. არ შეეძლო! უფრო ზუსტად: რის დამყარებაც შეეძლო, ის მან უკვე დაამყარა (პატიმართა წამება, მიტინგების დარბევა, ნაომარი ახალგაზრდების მასობრივი დაპატიმრება და ა. შ.), ხოლო უარესის დამყარება არ შეუძლია. რატომ? იმიტომ, რომ დიქტატურის დამყარებისათვის არ კმარა მხოლოდ კომუნისტურ-უფაშისტური მენტალიტეტი ან სხვა რამ ბოროტი ნება. დიქტატურა მხოლოდ შიშზე დამყარებული ვერ იქნება. დიქტატორმა უნდა შეეძლოს ხალხისთვის რაღაცის მიცემა იმის სანაცვლოდ, რასაც ართმევს (სიტყვის თავისუფლებას, სამართლიანობას, პირად ღირსებას, საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებს და ა. შ.). ეს პოლიტიკისა და პოლიტოლოგიის ანბანი გახლავთ. მოვიყვანოთ ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი დიქტატორის — სტალინის მაგალითი. მას სისტემატურად მიეჰქონდა თავისი ერთგული ქვეყნისათვის (ეს იყო რუსეთი — „ველიკოროსია“) ის, რასაც ვერავინ სხვა ვერ მისცემდა: სამხედრო გამარჯვებები, დასავლეთის ქვეყნების „დანება და გადასწრება“, მძიმე მრეწველობის რაოდენობრივ მაჩვენებელთა მზარდი სერია ყოველწლიური ფასდაკლება, შუალედებში — საერთაშორისო ტურნირების მოგება და სხვა მრავალი. რის მოცემია საქართველოსთვის შევარდნაძე? ვერაფრის, გარდა მის მიერვე, ზოგადკომუნისტური ჩანაფიქრით, ორგანიზებული ეკონომიკური ნოსტალგიისა ოფიციალური კომუნისტების ეპოქის მიმართ. მაშასადამე, მისი და მისი ადმინისტრაციის ბატონობა ხელოვნურად დაბეჭავებულ ხალხზე მუქთა ბატონობაა, რომელსაც ერთგული არავინ ჰყავს და ვერ ეყოლება რამდენიმე ასეული შავნილბიანი „მრბეველისა“ და სახელმწიფოს ჯიბეს დაწაფებული გახრწნილი ხროვის გარდა. ასეთ პირობებში დიქტატურის იმ ზომის დამყარებაც, რაც შევარდნაძემ შეძლო, დიდი მიღწევაა. ამ ზომის იქით იგი, რაც უნდა მონდომებული იყოს, ვერ წავა.

პრეზიდენტის ფუნქციების საკითხში მაგრამ ეს — სხვათაშორის. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ პრეზიდენტს სრულებით შეუსაბამო წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რა არის პრეზიდენტის მოვალეობა სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების წინაშე, რა ევალება ან ეპატიება მას და რა — არა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: პრეზიდენტს არ ესმის და არც უნდა გაიგოს, რომ იგი პასუხისმგებელია, სულ ცოტა, მოქალაქეთა სიცოცხლეზე მაინც, მაშასადამე მან — რაგინდარა ზომებით და რაგინდარა საშუალებებით — საქმე ისე უნდა მოაწყოს, რომ მშვიდობიან მოქალაქეს მტრის ტყვია არ ემუქრებოდეს ყოველდღიურად, მასობრივი მასშტაბით და დაუსჯელად. ესეც ანბანი გახლავთ. მაგრამ ვნახოთ აბა, რას ამბობს პრეზიდენტი თავისი თავისა და თავისი „პოლიტიკის“ გასამართლებლად იმასთან დაკავშირებით, რომ გალში მოსახლეობის ახალი მასობრივი მკვლელობა მოხდა (სულ რუსული „სამშვიდობო“ ნაწილების ჩამოდგომის შემდეგ, მარტო ამ რაიონში მოკლულია 1500 სული). ჯერ გვეუბნება, ზუსტად ვიცით, არძინბას რაზმები როდის და რომელ საათებში შემოვიდნენო. მერე წერს:

„ქართული მხარე არ შეიძლებოდა ყოფილიყო შეიარაღებული შეტაკების ინიციატორი. თუ ასეთი ვარიანტის შესაძლებლობას დავუშვებდით, ჩვენ, რა თქმა უნდა, ქვეყანაში რეალურად არსებულ შეიარაღებულ ძალებს თავს მოვუყრიდით ან ზონაში, ან ზონასთან ახლოს. საბრძოლო ოპერაციებში მათი ჩაბმა დიდ კავკასიურ კონფლიქტამდე მიგვიყვანდა. დღეს ამაზე თითქმის აღარავინ დავობს.“

ჩნდება კითხვა: თუ ვიცოდით, რომ შესაძლებელია არძინბას რაზმებმა მოსახლეობის ხოცვა დაიწყონ, მაშინ რა უფლებით არ მოვუყარეთ თავი შეიარაღებულ ძალებს მეზობელ ზონაში, რათა ეს მოსახლეობა გადაგვერჩინა? ხოლო თუ არ ვიცოდით, რომ შესაძლებელია ამ ხოცვის დაწყება დაუცველ გალში, მაშინ რის მაქნისები ვართ და რაში იღებს ხელფასს, პატივსა და სახელს პრეზიდენტი, რომელიც ამ შესაძლებლობას ვერ ხვდება? ამ გულუბრყვილო თავისმართლებაში პრეზიდენტმა კიდევ ორი რამით გათქვა საკუთარი თავი: პირველი: ციტატიდან ირკვევა, რომ „დიდი კავკასიური ომის“ შიშით მას სურვილი არ ჰქონია მოსახლეობის დაცვისა, როცა აფსუურ-სომხურ-რუსულ-ადიღეურ-კაზაკურმა ხროვამ ხალხს ცეცხლი გაუხსნა და ხიშტებზე წამოგება დაუწყო. მეორე: რატომაა ეს ომი „კავკასიური“? განა ჩრდილო-დასავლელი კავკასიელები (ადიღეელები), რომლებიც საქართველოში საომრად მოვიდნენ, რუსეთის მოქალაქეები არ არიან? მაშასადამე, ეს ომი რუსული ყოფილა! მაგრამ საქართველოს „ყურმოუჭრელი“ პრეზიდენტი იმდენად ერთგულია ამ დიდი და აგრესიული მეზობლისა, რომ მისი სახელის ხსენებაც არ ჰსურს მაშინ, როცა პირველი მკვლელი და მკვლელთა ორგანიზატორი სნორედ იგია. მით უმეტეს, ამ ყურმოუჭრელ გარანტს ჩვენი სიცოცხლისა და ტერიტორიული მთლიანობისას არ ჰსურს ნოტით მიეშართოს ამ მეზობელს და ჩივილით მიეშართოს გაეროს მისი აგრესიის გამო. გარდა ამისა, საკითხავია: რატომ მოხდა, რომ ჩვენ მზად არ ვართ დავიცვათ ჩვენი მოსახლეობა თუნდაც მხოლოდ „კავკასიელებისგანაც“ კი (ლაპარაკია, ვიმეორებთ, ჩრდილო-დასავლელ კავკასიელებზე), რომელნიც რაოდენობრივად ჩვენი მეოთხედი არიან? იმიტომ, რომ პრეზიდენტმა გულით რუსი და კორუმპირებული ნადიბაიძე ხუთი წლის მანძილზე თავდაცვის მინისტრად ᲐᲛᲧᲝᲤᲐ და საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებობა ჩაᲐშლევინᲔ? თუ იმიტომ, რომ მან არ დააპატიმრა ქურდბაცაცა პრემიერები და ვიცეპრემიერები, რომელთაც ქვეყანა გაძარცვეს, საწარმოდან პლატინა მოიპარეს, სესხები ჩაიჯიბეს, საკვების ნაცვლად საფურაჟე ხორცით შემოტანეს და ა. შ., რის შედეგადაც ჯარის მშენებლობისთვის სახსრები აღარ დარჩა? ხოლო თუ ხელისუფლება ყველა ამ პროცესთა პირისპირ იმდენად ცვედანი იყო, რომ მტრის წინაშე ხელების აწევის გარდა სხვა არაფერი შეეძლო, მაშინ რატომ მოხდა, რომ მან თავისი უძლურების შესახებ მოსახლეობა არ გააფრთხილა და მას გალში დასახლებისგან თავშეკავება არ ურჩია (პირქით, მიუშვა, მიდით და დასახლდით, ან მოგკლავენ ან არაო). ამ პატარა ნაწყვეტშიც კი, რომელიც პრეზიდენტის ინტერვიუდან მოვიყვანეთ, მისი, სულ ცოტა, ოთხი უმძიმესი დანაშაული მაინც ჩანს: არმიის მშენებლობის ჩაშლა (შეგნებული), მოსახლეობის არგაფრთხილება საშიშროების შესახებ (შეგნებული და სიხუმში უკვე პრეზიდენტის მქონე), ზომების არმიღება მოსახლეობის მასობრივი ხოცვის წინააღმდეგ (შეგნებული), სახელმწიფოს მტერთან (რუსეთთან) თანამშრომლობა (მისი არგამხელა) ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ მიმართულ მოქმედებაში, სახელდობრ, გენოციდში მისი მონაწილეობის დამალვის მიზნით (მისი როლის შეგნებული დამალვა ამ აქციაში). ყველა ეს ისეთი დანაშაულებია, რომლებიც ყველა ქვეყანაში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც სასჯელის უმაღლეს ზომას განაპირობებს. ამ მკაფიოდ გამოხატულ დანაშაულებს, შესაძლოა, ზედ ერთვის მეექვსეც: გალის მოსახლეობის თვალში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დისკრედიტაციის ზრახვა.

მოვლენათა განვითარებაზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილება, უფრო ზუსტად — უპასუხისმგებლობა იმაზე, რაც პრეზიდენტის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს, წითელ ხაზად გასდევს მთელ ინტერვიუს. პრეზიდენტი ამბობს, გალის ზონაში იმდენი რაზმები გვყავდა შეყვანილი, რამდენიც შეგვეძლოო („ეს იყო იმის მინიმუმი, რის ყოლაც ჩვენ შეგვეძლო“) და აზრად არ მოსდის, რომ რაზმების „მინიმუმი“ ისაა, რაც ადამიანთა დაცვას სჭირდება. და არ ის, რაც რუსებთან ზრდილობის ან აფსუებთან დადებული კაბალური გარიგებების ჩარჩოში ეტევა. ამის შემდეგ კი პრეზიდენტი ამბობს, მენალარიშვილმა, თარგამაძეს და ლორთქიფანიძემ აფხაზებთან მოილაპარაკეს მოსახლეობის „მშვიდობიანი დაბრუნების“ შესახებო. რის იმედით? ვისი იმედით? განა მტერმა თქვა და პირობა დადო, რომ საქართველოს იურისდიქციის მომხრე ქართველ მოსახლეობას მომავალში ავტომატს არ ესვრის ან რომ პარტიზანთა მოქმედების განახლებისთანავე მას დაინდობს? ხოლო თუ არ თქვეს, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობას იქ მხოლოდ ხელების ასაწევად ვუშვებთ, რათა იქ საქართველოს ხსენება სამუდამოდ აღკვეთოთ.

ომისა და მშვიდობის საკითხში „ომი თუ მშვიდობა“?, უფრო ზუსტად კი — „ომი თუ უღირსი მშვიდობა?“ სახელმწიფოს ყველაზე მძიმე არჩევანი იყო ყოველთვის და ყოველთვის ასეთად დარჩება. მაგრამ რა შინაარსი დევს ამ არჩევანში, ამას **ცოდნა** უნდა, საქართველოს პრეზიდენტს კი, როგორც ჩანს, ეს ცოდნა არა აქვს. „ერც „არ ვიომოთ დღეს, არამედ ვიომოთ ხვალ, როცა საამისოდ უარესი პირობები გვექნება“ და არც „არ ვიომებთ, მაგრამ მტერს არ შევუშლით ჩვენს ხოცვას“ მშვიდობის მოპოვება არაა. დღემდე მშვიდობის მოპოვების მხოლოდ ორი გზაა ცნობილი: ან იმდენად ძლიერი უნდა იყოთ, რომ თავს არ დაგესხან (და ამას გამოხატავს ლათინური ანდაზა „თუ მშვიდობა გინდა, ომისათვის ემზადე“), ან სწორად უნდა განსაზღვროთ, რა და რა დათმობებს დასჯერდება თქვენი მონინააღმდეგე, რათა, თუ ეს პირობები თქვენთვის მისაღებია, მასთან ამა თუ იმ გარანტიებით შეთანხმება დასდოთ. პრეზიდენტის პოლიტიკურ კონცეფციაში მშვიდობის მოპოვების არც ერთი ეს გზა არ ფიგურირებს. ძალაზე ლაპარაკი აქ, ცხადია, ზედმეტია. მაგრამ არც იმის გათვლა არის, ორი სიტყვით მაინც, თუ რა ფასის გაღება გვჭირდება იმისთვის, რომ არა ძალისმიერი, არამედ უღირსი, კაპიტულაციისმიერი მშვიდობა მაინც მივიღოთ. კერძოდ, არ არის შემოთავაზებული ან გააზრებული მოვლენათა განვითარების არც ერთი ისეთი სცენარი (ხაზი), რომელიც ზემოხსენებულ პირობას აკმაყოფილებდეს. მართლაც, ვნახოთ, რას გვთავაზობს (მშვიდობის რა ფასად მოპოვებას გვთავაზობს) პრეზიდენტი. იგი არ გვთავაზობს არაფერს და ვერც შემოგვთავაზებს ვერაფერს იმიტომ, რომ ჩვენს ორსავე მონინააღმდეგეს (აფსუასაც და რუსეთსაც) ჩვენ მიმართ განუსაზღვრელი ანუ საზღვარდაუდებელი პრეტენზიები აქვს. აფსუა, მართალია, ამბობს, ხელი აიღეთ აფხაზეთზე და მეტი არაფერი მინდაო, მაგრამ იგი, როგორც ვიცით, საბოლოო ინსტანცია არ არის, რადგან მის უკან რუსი დგას. რუსი თავის გამოუცხადებელ ომში არ საზღვრავს თავისი განზრახვის ზომას. მას საქართველოს კვლავ დაპყრობა, განადგურება, დაშლა, ბირთვულ უდაბნოდ გადაქცევა უნდა და ა. შ. ამ ფუძემდებელ ფაქტს — რომ ჩვენ მონინააღმდეგეებს ჩვენგან არა შეზღუდული, არამედ **უსაზღვრო** პრეტენზიები აქვთ — საქართველოს პრეზიდენტი საქართველოსა და მსოფლიოს წინაშე ოფიციალურად მალავს და ჯიუტად იმეორებს, „ჩვენ საქმის მოგვარება მშვიდობიანი მოლაპარაკებით გვინდაო“, მიუხედავად იმისა, რომ ესმის (და ამბობს აქვე ინტერვიუში) საქართველოში არსებობენ პოლიტიკური ავანტურისტები, რომელთაც სსრკ-ს აღდგენა უნდათო. პრეზიდენტი არ ამბობს, როგორ ურგდება მისი იმედი მშვიდობის დამყარებისა იმ ფაქტს, რომ საქართველოს დღეს უსაზღვრო პრეტენზიების მქონე მონინააღმდეგეები ჰყავს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი პოზიცია, რომლითაც იგი ქვეყნის წინაშე გამოდის, **ყალბია** (უფრო ზუსტად — შეგნებულად ყალბია) ანუ — რეალურად — იმას ნიშნავს, რომ მას გულში უსიტყვო (უპირობო, „სიტყვაშეუბრუნებელი“) კაპიტულაცია აქვს, მაგრამ ჯერჯერობით ამის გამხელას ვერ ბედავს.

ამიტომაც პრეზიდენტის მსჯელობა მშვიდობიანი მოგვარების თემაზე მხოლოდ დემაგოგიაა. ჩვენ არ გვინდა ამ სიტყვას ამ ტრაგიკულ კონტექსტში აბუჩად ამგდები ან უპასუხისმგებლოდ მსუბუქი ელფერი მივცეთ. დემაგოგია „განა მშვიდობა არ გინდა? განა ახალგაზრდების გადარჩენა არ გინდა? მაშ რა ღირსებაზე, სამშობლოზე, თავისუფლებაზე, სამართლიანობაზე, მინა-წყალზე თუ თავმოყვარეობაზე ლაპარაკი აგიტყდა? დათმე და დაამთავრე!“ არც ზერელეა, არც შემთხვევით გაჩენილია, არც წარმავალია და არც კაცობრიობის ისტორიიდან განქარვებადი. იგი კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე კითხვის და ყველაზე მძიმე არჩევანის ამსახველია მისი გაჩენის დღიდან. მაგრამ ამ სერიოზულ კითხვას — ვიმეორებთ — სერიოზული პასუხი უნდა. პრეზიდენტს კი ასეთი პასუხი არა აქვს. მისი გაუმხელელი და — რაც მთავარია — დაუსაბუთებელი წინადადება, უპირობო კაპიტულაციაზე წავიდეთო, პასუხი არ არის.

ამ ძლიერ დემაგოგიას საქართველოს პრეზიდენტის ხელში უძლური და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მდარე ადამიანებზე გათვლილი სახე აქვს. პრეზიდენტის სიტყვით, იგი ამას წინათ შეეხვედრია ნიჭით გამორჩეულ 70 ახალგაზრდას და მათთვის უთქვამს, „ვერ მივიღე ის გადაწყვეტილება, რომ თქვენ საზარბაზნე ხორცად ქცეულიყავითო.“ ძალიან ცუდია, თუ ასე უთქვამს! რადგან პრეზიდენტს არა აქვს უფლება, ჯარისკაცს „საზარბაზნე ხორცად“ თვლიდეს. პირიქით, პრეზიდენტისთვის ჯარისკაცი არის პრივილეგირებული, ანუ გამორჩეული მოქალაქე, რომელსაც მისი სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას აძლევს სამშობლო დაიცვას. „საზარბაზნე ხორცი“ იგი არის ბირჟის სპეკულანტისა და ავანტურისტისათვის, რომელიც ომზე ჯიბეს ისქელებს. ხოლო ის 70 ახალგაზრდა, რომელთაც პრეზიდენტმა ამ მოუზომავი სიტყვით მიეშართა, არ ვარგებულან, თუ პრეზიდენტს მაშინვე არ უპასუხეს: „მადლობელნი არ ვართ, ბატონო პრეზიდენტო, რადგან თუ ქვეყანას ომი აქვს, მაშინ ჩვენც, ნიჭიერების მიუხედავად, ჩვენი მოვალეობის მოხდა გვმართებსო.“ ასე რომ გადამწყვეტი ფაქტორი ომის და მშვიდობის განსაზღვრაში ისევ და ისევ ქვეყნის სტრატეგიული და, კერძოდ, ისტორიულმასშტაბიანი სტრატეგიული ინტერესია და არა სენტიმენტალური ფრაზები, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე მდგომი პიროვნების გემოვნებას უპასუხებს ან არ უპასუხებს. სამწუხაროდ, სახელმწიფოს ფუძემდებელი იურიდიული და ზნეობრივი ნორმების არცოდნას პრეზიდენტი ამ ინტერვიუში მაშინაც ამჟღავნებს, როცა „დროშების უთავბოლო ფრიალს“ ახსენებს. დროშები, რომელზედაც აქ ლაპარაკია, ხომ საქართველოს დროშებია, რომლებიც მტრისგან დროებით იკუჭირებულ ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლებას ასახიერებენ, — დროშები, რომელთა ქვეშაც დღეს ქართველი ჯარისკაცების სისხლი იღვრება, და არა ისტორიის მიერ სანაგვეზე გადაყრილი „ხალხთა საპყრობილის“ დროშები, რომელთა ჩრდილშიც საქართველოს ცეკას მდივნები რეს-პუბლიკის მორიგ ორდენებს იღებდნენ და ერთგულების ფიცს დებდნენ!

გაგრძელება მე-9 გვერდზე

გათიშე და იბატონე

შევარდნაძის უცვლელი პრინციპია

ბოლოს დროს, როდესაც მთელი სიმწვავით დაისვა აფხაზეთში ასიაათასობით დევნილის დაბრუნების საკითხი, სწორედ მაშინ იჩინა თავი გალის რაიონის პრობლემებმა. ჩვენი



საზოგადოების საღად მოაზროვნე უმრავლესობისათვის ძალიან ადვილი მისახვედრია, თუ ვის წისქვილზე ასხამს წყალს მოვლენების ასეთნაირი განვითარება — რა თქმა უნდა, რუსების. ამის დასტური ჩვენი უახლესი ისტორიაა. მოგეხსენებათ მაშინ, როდესაც საქართველოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, შეიძლება ითქვას, პიკს მიაღწია, თავი იჩინა ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემამ. ამ საკითხის მოგვარების ბერკეტების ძიებაში ვიყავით და აფხაზეთი დავკარგეთ. მოკლედ, ერთ პრობლემას მეორე ემატებოდა და საზოგადოების ყურადღებაც თანდათან ერთი საკითხიდან მეორისკენ მონაცვლეობდა. ეს საკითხები ერთიანობაში აღებული წრიულ ჯაჭვს ქმნის, რომლის სათავეები დღესაც ჩვენი „უფროსი ძმის" ხელშია.

რაც შეეხება გალის მოვლენებს, უნდა ითქვას, რომ იგი საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, თვით საქართველოს ხელისუფლების მიზეზით აგორდა.

ჩვენ არ ვიცით, ვინ ასულდგმულებდა პარტიზანულ მოძრაობას, მაგრამ საეჭვოა ერთი გარემოება, თუ რა მიზანს ემსახურებოდა გალში ჩატარებული მარუნა და ჩინოვნიკთა ჯირითი აფხაზეთის ტერიტორიაზე. იქნებ ხელისუფლებას მართლაც სურდა აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის დახმარებით საომარი მოქმედებების ესკალაცია მოეხდინა და შემდეგ სამხედრო ჩარევა განეხორციელებინა იძულებით მშვიდობის დასამყარებლად, მაგრამ ეჭვს ბადებს ის გარემოება, თუ რატომ მიატოვა ბედის ანაბარა მთავრობამ ავტომატიანი პარტიზანები კბილებამდე შეიარაღებულ მტერთან — მხოლოდ იმიტომ, რომ დევნილთა და უსახლკაროთა რიცხვი ათეული ათასობით კიდევ გაზრდილიყო, თუ ის ფუჭად დაღვრილი სისხლი არ იყო საკმარისი?! მაგრამ ფაქტი სახეზეა, ამ მოვლენებით აშკარად ისარგებლა როგორც ხელისუფლებამ, ასევე ოპოზიციამაც და პოლიტიკური დივიდენდების დაგროვება დაიწყო.

მეორეც: რატომ უძღოდა წინ ამ მოვლენებს ქართული ჯარის ამყვავებელი „ყვავილოვანი" მინისტრის აღსასრული?

მხოლოდ იმიტომ, რომ მავანსა და მავანს მასზე ბინძური ხელები შეეწმინდა?..

ეს კითხვები ქართულსა და არა მარტო ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტაში ბოლოდროინდელი მოვლენების კვალობაზე სულ უფრო მეტი სიმწვავით ისმება. მით უფრო, რომ ვარდიკოს, როგორც ყვავილობის, ასევე ჭკნობის დროსაც, ქართული ჯარის რენესანსის საკითხი მთელი სერიოზულობით იდგა. შევარდნაძე აღელვებული აცხადებდა, რომ ქართული „არმია" თანდათან ძლიერდებაო. ისე, ჩემი აზრით, უვარგისი ვარდიკო და ქართული ჯარის განვითარება ალბათ უკუპროპორციულ ცნებას წარმოადგენს.

რაც შეეხება ახალ თავდაცვის მინისტრს, მან ხომ პირველსავე დღეებში საკმაოდ გაბედულად განაცხადა, რომ ქართული ჯარი მზადაა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადო და ამით სულ მალე პოლიტიკური მარცხიც იწვნია. გალის მოვლენებმა კი დაგვანახა, რომ ქართულ ჯარს არც არაფერი მომატებია და არც დამარცხებულის სინდრომი მოხსნია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს სირცხვილია, 26 მაისს, დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, როდესაც პრეზიდენტის „კრესლოს" ათასობით შეიარაღებული ძალოვანი იცავდა და ოპოზიციის მიტინგებს ე. წ. „ელექტროშოკებით" არბევდა, მდინარე ენგურის საგუშაგოზე მისულს, მხოლოდ ექვსი უიარაღო პოლიციელი დამხვდა. ნუ იტყვით, თურმე პრეზიდენტის სავარძლის დაცვა უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე დგომა. მოკლედ, ასეა თუ ისე, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში თანდათან განტევების ვაცების ფიგურებიც იკვეთება, რომელთაც ჩვენი პრეზიდენტი ალბათ მთელი სიმკაცრით მოსთხოვს პასუხს გალის მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ არა მგონია ნადარეიშვილი ამათ რიგებში აღმოჩნდეს და ამას თავისი მიზეზებიც აქვს.

რაც შეეხება ქართველების ორიგინალურობას, გეტყვით, რომ ამ მხრივ, ჩვენს პრეზიდენტს დასაძრახი ნამდვილად არაფერი აქვს, თუ რუსთა მიერ მრავალგზის ნაცადი ხერხი, ძველრომაული გათიშე და იბატონე, თანამედროვე ინტერპრეტაციით ისევ ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენება, შევარდნაძემ თვითონვე შექმნა პრინციპი მოიხმარე-მოიშორე, რომლის ბერკეტებსაც გალის მოვლენების შემდეგ ალბათ, სულ მალე აამუშავებს მის მიერვე შექმნილ მთავრობაში.

არც ისაა გამორიცხული, რომ რუსეთმა „გიორგი აუფეთქებელზე" წარუმატებლად მოწყობილი რამდენიმე ტერაქტის შემდეგ (თუ ეს წინასწარ შედგენილი სცენარი არ იყო) უფრო აქტუალური და მისთვის მომგებიანი აფხაზეთის პრობლემის ხელახალი აგორება დაიწყოს. ამ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება ორი ვერსია გამოვყოთ, პირველი: საქართველოს ხელისუფლებამ ვიღაცის წაქეზებით გადაწყვიტა ძალისმიერი მეთოდებით დაებრუნებინა აფხაზეთი და საყოველთაო სახალხო მოძრაობის დაწყებას შეუწყო ხელი, რომელიც შუა გზაში მიატოვა; და მეორეც — რუსეთმა შეგნებულად წამოგვაგო პროვოკაციაზე. ერთიც და მეორეც საქართველოს ხელისუფლების უძლურებაზე მეტყველებს, მაგრამ მისი შეცვლის, განსაკუთრებით კი პრეზიდენტის გადადგომა მისივე პოლიტიკური თანამოაზრეებისა თუ თანამებრძოლების აზრით, ხომ დაუშვებელია, რადგან, თურმე ნუ იტყვით, ხუთ მილიონიან საქართველოში პრეზიდენტობის რეალური კანდიდატის შერჩევა შეუძლებელი ყოფილა. იბადება კითხვა, რა ვქნათ? — ვიდგეთ და შევციცინოთ თვალებში ჩვენს მამამარჩენალ არქიფოს? ჩემი აზრით, ჩვენი მკითხველისათვის ურიგო არ იქნება, 26 მაისს გალის რაიონიდან დევნილი ერთ-ერთი ქართველის მოსაზრების გაზიარება, რომელმაც პირდაპირი გაგებით განაცხადა, რომ „პარტიზანული მოძრაობა აფხაზეთში ხალხის გაჭირვებამ გამოიწვია, თუმცა ამით ჩვენი მთავრობა დაინტერესებული იყო, მაგრამ არა იმიტომ, რომ აფხაზეთი დაებრუნებინა, არამედ ეს ყველაფერი მორიგი შანტაჟი იყო, თორემ პარტიზანი და თოფიანი კაცი ტყეში მისით არ შექმნილა. ეს ჩვენმა მთავრობამ შექმნა და შემდეგ ბრძოლის ხაზზე მიატოვა იარაღისა და ტყვია-წამალის გარეშე. ჩემი აზრით, ამ საკითხის მოგვარება მხოლოდ და მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით შეიძლება, არადა ხელისუფლებამ თუ არ მოინდომა, მარტო ხალხი ვერაფერს გახდება. ვერც ხელისუფლებას შევცვლით იმიტომ, რომ რუსის მიერაა დასმული". ბოლოს ჩვენმა რესპოდენტმა შემაჩერა და ასეთი კითხვა დამისვა: — რად გვინდა ჯარი? — თან მთხოვა, ამ საკითხზე მეფიქრა და ჩემი წერილით გამეცა პასუხი, მაგრამ იგივე კითხვა მეც ხშირად მებადება და პასუხს ამაოდ ვეძებ, ამიტომ იძულებული ვარ, იმ კაცს იმედები გავუცრუო, სჯობს ისევ თვითონ იმსჯელოს ამ საკითხზე. პასუხი კი მკითხველისთვის მიმინდვია, იქნება თქვენც ხშირად იფიქროთ ამ საკითხზე.

კობა კაპანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს მკრშემო

ფაიზალ!



ამერიკულ ჟურნალში X („ეგზეკუტივ ინტელიჯენს რევიუ"), 8 V 1998, გვ. 47, ვკითხულობთ სიტყვა-სიტყვით შემდეგს:

„ფაზაილ ალამალი, მთავრობის მომხრე პარტიის ანა ვათანის (ეს ნიშნავს „დედა სამშობლოს". მთარგმნ. შენ.) თავმჯდომარე, იცავს აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და ირანის აზერბაიჯანის კონფედერაციის შექმნის იდეას, როგორც პირველ ნაბიჯს ამ ორი რეგიონის კვლავ გაერთიანებისათვის, რომლებიც ურთიერთდაშორებულნი არიან ნაპოლეონის ომების მერე — ასე გვაცნობებს გაზეთი „თურანი" 27 აპრილის ნომერში. ეს აღნიშნა რადიო „თავისუფალმა ევროპამ" პრაღაში.

„თუ ასეა, მაშინ ეს მოწოდება მაჩვენებელია მოვლენათა სერიოზული განვითარებისა აღნიშნული მიმართულებით, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰაიდარ ალიევის გამონათქვამს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გვაცნობეს, რომ სასურველია კავკასიაში განლაგდნენ თურქეთის ჯარისკაცები, რათა დაიცვან ნავთობსადენი.

„ანა ვათანის მესამე კონგრესზე გამოსვლისას ბაქოში 25 აპრილს ალამალიმ გამოთქვა მხარდაჭერა პრეზიდენტ ალიევის ლიდერობისა, რომლის სასარგებლოდაც მან უარყო დელეგატთა წინადადება, რომ იგი დაესახელებინათ იქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატად.

„რადიო თავისუფალი ევროპა აღნიშნავს, რომ 1997 წლის დეკემბერში აზერბაიჯანის ყოფილმა პრეზიდენტმა აბულფაზ ელჩიბეიმ ჩამოაყალიბა „ერთიანი აზერბაიჯანის კავშირი", რათა ლობირება გაუწიოს ორი აზერბაიჯანის გაერთიანებას. თურქეთის მიერ მხარდაჭერილი ძალისხმევა, რომელიც მიმართულია ორი აზერბაიჯანის „კვლავ შეერთებისკენ" ანუ ირანის აფეთქებისკენ, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ირანი სომხეთს მიუდგა მთიანი ყარაბაღისათვის ომში. ელჩიბეი ალიევმა ჩამოგდო 1993 წელს. ელჩიბეი მოულოდნელად დაბრუნდა ბაქოში მარტში, მანამდე იგი ნებაყოფლობათ შინაგან გადასახლებაში იმყოფებოდა".

როგორც ამ ციტატიდან ჩანს, მდგომარეობა რთულია, არა მხოლოდ მსოფლიოში, არამედ ჩვენს უშუალოდ მომდგომ რეგიონშიც. ჩვენ წინაპარ პოლიტიკოსები არ იბნეოდნენ ამგვარ ვითარებაში და ყოველთვის ახერხებდნენ ძლიერ პარტნიორთა შორის — ზოგჯერ ძალით და ზოგჯერ დიპლომატიით — შედარებით დაცული პოზიციის პოვნას. ამიტომაცაა, რომ ისტორიაში არც ერთი შემთხვევაა არა თურქეთისა და სპარსეთის ერთად თავდასხმისა საქართველოზე. დღეს არც ეს სიბრძნე ჩანს და არც დიპლომატისთვის საჭირო ძალა. დღეს ხელისუფალი და მესაჭე მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ხელოვნებას ფლობს — მონინააღმდეგისათვის ფეხქვეშ გაგების ხელოვნებას. მაგრამ ვის გაუწვეს, როცა პრეტენდენტი ორი ან მეტია? დღეს სწორედ ის დროა, რომ საქართველოს ერთგული, მტკიცე და ამავე დროს გველივით ბრძენი მეთაური ჰყავდეს. მაგრამ სად არის? როდემდის ველოდოთ მის გაჩენას, როდემდის? ჩვენო მიწა-წყალო, მოგვეცი ამის პასუხი.

ლელთ ღუნია

საქართველო უკანასკნელ ადგილზეა

როგორც იტყობინება 29 აპრილის „უოშინგტონ პოსტი", გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის გაანგარიშებით (1996 წლის მონაცემები), 1989 წლის სამრეწველო პროდუქცია დაეცა „ესენგეს" 12 ქვეყნიდან თერთმეტში. გაიზარდა (107%) მხოლოდ უზბეკისტანის პროდუქცია. დანარჩენ ქვეყნების მაჩვენებლები ასე ლაგდება: თურქმენეთი (70,50%), ბელარუსი (62,4%), უკრაინა (49,7%), კაზახსტანი (47%), რუსეთი (47%), მოლდოვა (43%), ტაჯიკისტანი (35,2%), ყირგიზსტანი (35,1%), საქართველოს (17,1%).

აღსანიშნავია, რომ მანამდე ჯერ კიდევ ცოტა ხნით ადრე საქართველო ბოლოდან მეორე ადგილზე იყო: იგი დიდი მანძილით უსწრებდა ტაჯიკისტანს.

რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისათვის და მისი გაკვეთილები

წერილი პირველი

ამ რამდენიმე წლის წინ წერილში „აფხაზეთის ომის რეალიები“ ვწერდით: „აფხაზეთის ტრაგედია ბევრ გამოცანას შეიცავს და რაც უფრო ადრე ამოვხს-



ნით მათ და რაც უფრო ადრე გავაკეთებთ დასკვნებს ამ ომის გაკვეთილებიდან, მით უკეთესი იქნება“-მეთქი.

უკვე ოთხ წელზე მეტი გავიდა საქართველოს ისტორიულ მიწაზე — აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიიდან და ამ ხნის მანძილზე მართლაც ბევრ რამეს აეხადა ფარდა, ბევრი რამ გახდა საცნაური, მაგრამ აფხაზეთთან დაკავშირებული ბევრი საიდუმლო და გამოცანა ჯერ კიდევ გამოსაცნობი და ამოსახსნელია. ეს ამ ზოლოდროინდელმა მოვლენებმაც დაადასტურა — გალში დატრიალებული ტრაგედიით.

ნათქვამია — ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, სულელები თავისაზეც კი ვერაო.

ღმერთმა დამიფაროს, რაიმე შევკადრო ჩემს ხალხს არც თუ იშვიათად გამოჩენილი უგუნურებისათვის, ამის უფლება მხოლოდ დიდ ილიას ჰქონდა და მან კიდევაც დაუტოვა თავის ხალხს სარკე „ბედნიერი ერის“ სახით, რომელშიაც, სამწუხაროდ, ნაკლებად ვიხედებოდით და ვიხედებით, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ჩვენ ვერც ჩვენსა და ვერც სხვის შეცდომებზე ბევრს ვერაფერს ვსწავლობთ.

ოთხ წელზე მეტი გავიდა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიიდან, რომლის მიზეზებსა და შედეგებზე ტომების დაწერა შეიძლება, და კიდევაც უნდა დაიწეროს, თუკი გადარჩენა გვინდა, და ქართველ პოლიტიკოსთა მხოლოდ მცირე ჯგუფმა, როგორც იქნა, აღიარა საჯაროდ, რომ ამ ტრაგედიის გამომწვევიც, შემოქმედიც და მთავარი მონაწილეც ჩვენი დიდი მეზობელი და „მეგობარი“ რუსეთია.

წლების მანძილზე გაისმოდა და დღესაც ჯერ კიდევ გაისმის ხმები — აფხაზეთის ომის შეფასება მომავალს მივანდოთო (!!!), ან კიდევ, ქართველები იმიტომ დავმარცხდით, რომ აფხაზის სახით მტრის ხატი ვერ შევქმენით, რაც ასე კარგად მოახერხა მეორე მხარემო და ა. შ. და ა. შ.

ასეთია ხელმოცარულ პოლიტიკოსთა თუ „მხედართმთავართა“ „ბრძნული მოსაზრებანი.“

მოდით, ცოტა უფრო ღრმად ჩავუფიქრდეთ ამ საკითხებს.

უკვე ორას წელზე მეტი გავიდა კრწანისის ტრაგედიიდან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა და განაპირობა საქართველოს დღევანდელი ტრაგედია და უბედურება და ამ ომიდან დასკვნები ჯერაც ვერ გამოგვიტანია.

კრწანისის ომი — მისი მიზეზები და შედეგები — დღემდე სათანადოდ ვერ გაგვიანალიზებია და ვინაა თავდები, რომ უარესი არ დაემართება „აფხაზურ გაკვეთილებს.“ მით უმეტეს, რომ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში ერთ-ერთმა ლამაზმანმა, გამოხატა რა ჩვენი საზოგადოების, როგორც ჩანს, ერთი „ელიტარული ნაწილის“ განწყობილება, **„ჯოველგვარი დაფიქრების გარეშე განაცხადა — ჩვენ შეიძლება აფხაზეთი დავკარგოთ, მაგრამ მაინც დამუკიდებელი სახელმწიფო ვიქნებითო.“ (!!!)**

სანამ მსჯელობას გავაგრძელებდეთ, გვინდა ამ ლამაზმანსა და მის თანამოაზრე „ელიტას“ შევახსენო, რომ უთბილისოდ საქართველომ ოთხასი წელი გაძლო (არაბთა ბატონობისას), მაგრამ უსაქართველოდ თბილისი ოთხ წელსაც ვერ გაძლებს, დიახ, ვამბობთ, უსაქართველოდ, რადგან ჩვენი „ელიტის“ ერთ ნაწილს არაფრად მიაჩნია წვრილწვრილად ტერიტორიების დაკარგვა — მერე რა, თუ აფხაზეთს დავკარგავთ, აფხაზეთს თუ სამაჩაბლოსაც მივაყოლებთ, შემდეგ კი ჯავახეთს და ა. შ. საქართველო მაინც დამოუკიდებელი იქნება, რადგან მისი „ელიტის“ ერთი ნაწილი კვლავ და კვლავ „მერსედესებით“, ბმვ-ებით და მისთანებით იგრიალებს და ღამის ბარებში ინებივრებს.

ახლა ისევ მივუბრუნდეთ განყვეტილ აზრს.

დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა, რომ კრწანისის ტრაგედია განაპირობა

შემდეგმა მიზეზებმა (ეს ახლა მაინც უნდა ვაღიაროთ საჯაროდ):

1) ერეკლე მეორე დიდი მხედართმთავარი იყო, მაგრამ სუსტი პოლიტიკური ხედვისა აღმოჩნდა და იმ დროს შექმნილ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში ვერ გაერკვა;

გაგრძელება მე-8 გვერდზე

საზღვარგარეთელი ჩვენი ქვეყნის შვილები

1918 წელს საქართველოს იმდროინდელმა ღირსეულმა თაობამ და მთავრობამ დიდი ბრძოლისა და თავგანწირვის ფასად შეისრულა თავისი ერთ-ერთი მთავარი სანუკვარი ოცნება, მოიშორა უმძიმესი, შეურაცხმყოფელი მონობის უღელი და საზეიმო ვითარებაში რუსული დროშის ნაცვლად ეროვნული, ლაღი ქართული დროშა ააფრიალა.



ჩვენი ღირსეული წინაპრების მრავალი თაობა ვერ მოესწრო ამ დიდ სიხარულს, საფლავში დარდად ჩაიტანა დიდი გულისტკივილი. მისასალმებელია, რომ საქართველოს საპატიო წოდება მიენიჭა საზღვარგარეთ მცხოვრებ რამდენიმე გულმხურვალე, მამულისა და ერის მოყვარე ქართველს: რეჯებ ეორდანიას, თინა და კარლო ინასარიძეებს, ქრისტეფორე კირკიტაძეს.

რამდენიმე მოგონების სტრიქონი ბატონ ქ. კირკიტაძეზე:

1971 წელს გავიცანი სევერიანე ალმასხანის ძე კირკიტაძე. ქ. ტყიბულიდან გამოგზავნილ მის შუამდგომლობას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შვილთან დროებით გამგზავრების შესახებ, თბილისში თვითონვე ჩამოყვა. კაბინეტში მივიწვიეთ. ჩამოჯდა სკამზე, მკითხა ვინაობა, სადაურობა. ძალიან გაუხარდა, რომ წარმოშობით იმერელი ვიყავი და გულით მთხოვა როგორც შვილს, ყურადღებით მოვკიდებოდი მისი და მისი მეუღლის ქ-ნ ეფემიას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შვილთან გამგზავრების საკითხს. რატომღაც ბაბუაჩემი წარმომიდგა თვალწინ, თითქმის ერთნაირი თეთრი დაშვებული ულვაშები, კეთილი გამოხედვა, ტკბილმოუბარი იმერული კილო ჰქონდა. ბაბუა სევერიანე დაიბადა 1895 წ. ცხოვრობდა ტყიბულის რაიონის ს. მუხურაში. სამი ქალიშვილი მარგალიტა, გოგუცა და დომნა თავიანთი ოჯახებით საქართველოში, ხოლო ვაჟი ქრისტეფორე ბედის თუ იმდროინდელი ჩვენი ცხოვრების გამო ამჟამად შორეულ გერმანიაში ცხოვრობს.

სამშობლოს ძალით მოცილებული კაცი ღმერთმა არ გაწირა. მან ცოლად შეირთო გერმანელი ქალი ქ-ნი ტერეზა-მარგალიტა კირკიტაძე. ჰყავთ ორი ვაჟი სევერიანე, და ქრისტეფორე.

1971 წ. ივნისში მოხუცებულ ცოლქმარს გამგზავრებაზე უარი ეთქვათ. მოგეხსენებათ, მაშინდელი საბჭოთა კავშირს (რუსეთის) პოლიტიკური კურსი და ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან და განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიასთან.

ჩემთვის და ჩვენი განყოფილების თანამშრომლებისათვის ადამიანური მდგომარეობიდან და ურთიერთობიდან გამომდინარე ძნელი იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყნებში სხვადასხვა მიზეზებით წასულ თუ დარჩენილ, წლების განმავლობაში მონატრებული ოჯახის წევრების სანახავად წამსვლელი ხალხისთვის შუამდგომლობაზე უარის თქმა, მაგრამ ჩვენ რა უნდა გაგვეკეთებინა. უნდა გენახათ მისი სევდიანი სახე. ისევ მელაპარაკა (ნეტავი იმდროინდელ დიდკაცებს მოესმინათ) ამ ქვეყნის შვილი ვარ, მისი ერთგული, ჩემი შვილიც ჩემი გაგებისაა. მისი ამჟამინდელი იქ ცხოვრება ჩვენი ბრალი არ არის, მოგეხსენებათ ყველაფერი ამის მიზეზი. ნუთუ ისე უნდა წავიდე ამ ქვეყნიდან, რომ ერთხელაც ვერ ვნახო შვილი, რძალი, იქ დაბადებული შვილიშვილები. არ ვუთხრა მათ, საიდანა ვართ, ვინა ვართ, რა არის საქართველო, რა გვსურს ქართველებს... ვიცი ძნელია, მაგრამ კიდევ ეცადეო, ღმერთი დაგლოცავსო. თუ დადებითად გადაწყდა ყველაფერი, ერთი ქართულად აღვნშნოთ და დავილოცოთო. დავაწერინეთ განცხადება, უფროსს შევუთანხმეთ, მოვამზადეთ მასალები, დადებითი აზრით მოვახსენეთ ხელმძღვანელობას და გაამართლა. ნება დართეს გამგზავრებაზე, სიკეთემ გაიმარჯვა.

1973 წლის 2 აგვისტოს ქ. კირკიტაძეს, მის მეუღლეს და უფროს ვაჟს ნება დაერთოთ საბჭოთა კავშირში (საქართველოში) დროებით ჩამოსვლაზე. სევერიანე უმცროსი თბილისში იყო ჩამოსული სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლებლად; (დიდხანს არ დარჩენილა, ამბობენ მან თქვაო საყვედურით, ერთს ფიქრობთ, მეორეს ლაპარაკობთ, მესამეს აკეთებთ, უნდა დაფიქრდეთო), ქ-ნი ტერეზაც რამდენჯერმე ეწვია ჩვენს დედაქალაქს.

გაცნობით ისინი არ გამიცნია. თუმცა ძალიან მინდოდა. მათ საბუთებს ყოველთვის დროულად და პატივისცემით ვაკეთებდი.

მახსოვს, მიუნხენიდან 1971 წლის 4 მარტს გამოგზავნილი წერილი:

გამარჯობათ ძვირფასო დედა და მამა!

უპ-ყოვლისა, მოგიკითხავთ გულითადად, გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. ვიმედოვნებთ, რომ თქვენ ყველანი კარგად იქნებით.

გულითად მოკითხვას გითვლით რეზი, (თქვენი შვილიშვილები) სევერიანე და პატარა ქრისტეფორე. მოგვიკითხეთ აგრეთვე დები, სიძეები, დისწულები და ყველა კეთილი ნაცნობები. რაც შეეხება ჩემს ოჯახს არა გვიშავს. ყველანი ჯანმრთელად ვართ.

ძვირფასო მშობლებო!

ძალიან დაგვწყდა გული, რომ თქვენ ვერ შესძლეთ ჩვენი სტუმრობა ჩვენს პირველ დაპატიჟებაზედ, რომელიც გამოგიგზავნეთ წარსულ წელს. რა ვქნათ, რომ ძლიერ გენატრებით. განსაკუთრებით ძლიერ გენატრებათ თქვენი შვილიშვილები სევერიანე და პატარა ქრისტეფორე — „ბაჭუა“.

მეორე წერილში ...აქ ჩვენი სამშობლოდან ბევრი ჩამოდიან სტუმრად თავისიანებთან, ჩვენ კი ვერ ველირსეთ ჯერჯერობით თქვენს ჩამოსვლას.

ძვირფასებო, გისურვებთ კიდევ სუყველას, ყოველივე კარგს და გელოდებით მოუთმენლად.

თქვენი შვილი ქრისტეფორე სევერიანის ძე კირკიტაძე

ქ. მიუნხენი

აი, ეს მოკლე ისტორია კირკიტაძეების ოჯახზე, ყველას ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას ვუსურვებ ქართველ და გერმანელ ნათესავ მეგობრებთან ერთად. კარგად ყოფნას და გამარჯვებას ვუსურვებ საზღვარგარეთ მცხოვრებ ადრე თუ ბოლო პერიოდში წასულ ქართველებს. გახსოვდეთ საქართველო და იზრუნეთ მისი უკეთესი, ლამაზი მომავლისთვის. ასწავლეთ შვილებს და შთამომავლებს ენა ქართული და მამულისათვის თავდადება.

როლანდ და იმედა სინატაშვილები.

25.05.98 წ.

მსოფლიოს გარშემო

„მარშალის გეგმას“ კვლავ მიჰმართავენ?

ფრანგმა ფილოსოფოსმა ანდრე გლუქსმანმა მოუწოდა თავის ქვეყანას და გერმანიას, რომ აღმოსავლეთ ევროპის ნაკომუნისტარსა და სოციალისტური ეკონომიკით გაჩანაგებულ ქვეყნებს, რომელთაც ძალიან უჭირთ მსოფლიო ეკონომიკის ნაკადში ჩართვა, აღმოუჩინონ ისეთივე დახმარება, როგორიც თვით მათ მიიღეს მეორე მსოფლიო ომით დანგრეული ეკონომიკის აღსადგენად „მარშალის გეგმის“ სახელით, („ბერლინერ მორგენპოსტი“, 29 IV). ეს გეგმა, რომლითაც აშშ დაეხმარა ევროპის ინდუსტრიის აღდგენას 1944 წლიდან, მხოლოდ ქველმოქმედება კი არ იყო, არამედ საკუთარი ინტერესების სამსახურიც ევროპაში მსყიდველუნარიანი ბაზრის შექმნის გზით. აშშ-დან წამოსულმა „ოქროს წვიმამ“ მაშინ უმოკლეს ვადაში აღადგინა ევროპის განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით — გერმანიის ინდუსტრია და არ დაუშვა ზეგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების რიცხვიდან რომელიმე მათგანის გამოთიშვა.

საყურადღებოა, რომ ფილოსოფოსის მოწოდება ვრცელდება არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის, არამედ აზიის ქვეყნებზეც. არანაკლებ საყურადღებოა, რომ 1944 წელს მარშალის გეგმის რეალიზაცია დაევალა სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილ „რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს“ — სწორედ იმ „მსოფლიო ბანკისა“ და „საერთაშორისო სავალუტო ფონდის“ წინაპარს, რომელთა მოღვაწეობა დღეს მსოფლიოში შეფასებათა უდიდეს სხვადასხვაობას იწვევს.

საით წავა აშშ-ირანის ურთიერთობა?

აშშ თოთხმეტმა სენატორმა წერილით მიჰმართა პრეზიდენტს, რათა მან თადგერული ეკონომიკური სანქციები აიმრუსული ფორმების ჯგუფის ნინააღმდეგ, რომელიც გემმავენ გაზის წარმოების ორმილიარდდოლარიანი პროექტის განხორციელებას ირანში. მაგრამ პრეზიდენტი არ ჩქარობს, ითვალისწინებს რა იმ პროგრესს, რომელიც შეინშნება ირანის ხელისუფალთა დამოკიდებულებაში აშშ-სადმი და თავისი მეზობლებისადმი სპარსეთის ყურის მიდამოებში. პრეზიდენტის აუჩქარებლობა გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მას ერთსა და იმავე საკითხზე ურთიერთგამომრცხავი ინფორმაცია მოსდის. სახელდობრ, სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში ტერორიზმის მდგომარეობის შესახებ მკვეთრად აკრიტიკებს ირანს, როგორც საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთ წამყვან მფარველს, ხოლო დაზვერვის ცენტრალური ბიურო (სი-აი-ეი) პირიქით, ვარაუდობს, რომ ირანმა და მისმა პრეზიდენტმა შეიძლება ითანამშრომლონ აშშ-სთან ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში, თუკი სხვამხრივ ნორმალიზებული იქნება ურთიერთობა მათ შორის.

რამდენი ამერიკელია ციხეში?

როგორც იტყობინება „რიჩმონდ ტაიმსი“ (12 V 1997) ყოველი მე-50-ე ამერიკელი 1997 წლის რომლილაც დროს ან გისოსს მიღმა იმყოფებოდა, ან თავდებობაში, ან პირობით თავდებობაში. ციხეში იმყოფებოდა 1.700 ათასი სული — მეტი, ვიდრე აშშ შეიარაღებულ ძალებში. 1987 წლიდან 1997-მდე პატიმართა რიცხვი გაორკეცდა, თუმცა მოსახლეობამ მხოლოდ 11%-ით მოიმატა. „გამომასწორებელ-ინდუსტრიული კომპლექსის“ ანუ ციხეთა ხარჯებმა შეადგინა 33.4 მილიარდი დოლარი, რაც თავდაცვის ხარჯების 15%-ის ტოლია, და გადააჭარბა სამედიცინო დახმარების ხარჯებს. ვირჯინიის შტატში პატიმრის შენახვის ხარჯი წელიწადში არის 16,317 ათასი დოლარი, სტუდენტისა — 4219 დოლარი და სკოლის მონაფისა — 5-7 ათასი დოლარი.

მოლაპარაკებას საიდუმლოდ ინახავენ

როგორც გვაცნობებს ე. „დი ველტ“ (9. V), ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა ა. წ. 29 აპრილს მიიღო გერმანელ მეწარმეთა ჯგუფი და 90 წუთი ესაუბრა მათ. ეს მიღება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რკინიგზების მინისტრმა და კიდევ რამდენიმე ოფიციალურმა პირმა ჩინეთის მხრიდან, ისე იყო გასაიდუმლოებული, რომ მასზე არ დაისწრეს გერმანიის ეკონომიკის მინისტრი გიუნთერ რექსროსტიც კი, რომელიც იმ დროს პეკინში იმყოფებოდა. მოლაპარაკება ეხებოდა გერმანელთა მიერ ჩინეთში ე. წ. „მაგლევის“ (მაგნტური ამსუბუქების) პრინციპზე დამყარებული ჩქაროსნული რკინიგზის ექსპერიმენტული პირველი მონაკვეთის მშენებლობას მის „ყოველდღიურ მოქმედებაში“ ეფექტანობისშემოწმების მიზნით. ეს მოკლე მონაკვეთი აშენდება ან პეკინის მახლობლად, მაგალითად — პეკინის აეროპორტიდან ქალაქამდე, ან, პირიქით, ჩინეთის დიდი კედლის მიდამოებში, რომელიც ჩრდილოეთში მდებარეობს.

ქართული ემიგრაცია

საქართველო ბოლშევიკთა ულელქვეშ

დასასრული. დას. იხ. „საქართველო“ № 39

საქართველოში გასატარებელი საბჭოური პოლიტიკის პრინციპები მოცემული იყო ლენინის ინსტრუქციებში, რომელიც გადმოეგზავნა საქართველოს „რევკომის“ თავმჯდომარეს მახარაძეს; ეს პრინციპები მოცემული იყო ასევე, ლენინის წერილში რუსეთის წარმომადგენლობა, — ორჯონიკიძისადმი და ინსტრუქციაშიც თავისი კომენტარებით, რომელიც გამოსცა XI არმიის პოლიტსამმართველომ.

ყველა ეს მითითებები შეიძლება შემდეგი სახით გადმოიცეს:

1. საქართველო არის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო და იმყოფება რუსეთთან ძმურ კავშირში. საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

2. ლენინი მოითხოვდა სასწრაფოდ შექმნილიყო საქართველოს წითელი არმია მუშებისა და ღარიბი გლეხებისაგან.

3. რუსეთის წითელი არმია მხოლოდ დროებით დარჩებოდა საქართველოში მანამდე, ვიდრე შეიქმნებოდა ანალოგიური, წითელი ქართული არმია.

ლენინი იძლეოდა რჩევას, ფართო პროპაგანდა გაეწიათ და ხალხისათვის აეხსნათ ის განმათავისუფლებელი მიზნები, რომლებსაც წითელი არმია ისახავდა. ამიტომ წითელარმიელებისაგან მოითხოვდა წესიერ სამსახურს, ანგარიშსწორებაზე ხელის აღებას, უკრძალავდა საცხოვრებელი სახლების თვითნებურ დაკავებას, სასურსათო პროდუქციის რეკვიზიციას და ა. შ.

ლენინი ძალიან პრინციპულად მოითხოვდა რუსეთის არმიისაგან პატივისცემით მოპყრობოდნენ ქართველ ხალხს. ამის შესახებ არმიის ყველა სტრუქტურას და სპეციალურ რაზმებს დაუყოვნებლად ეძლეოდათ შესაბამისი დირექტივები, რომელთა დამრღვევებსაც პასუხისმგებლობაში აძლევდნენ. მას პირადად უნდა მოხსენებოდა ასეთი დარღვევების ცალკეული შემთხვევები.

4. ლენინს შეხედულებათა თანახმად, საქართველოს „შინაგანი“ და გარეგანი პირობები ქართველი კომუნისტებისაგან მოითხოვდა „რუსული შაბლონისათვის“ თავის არიდებას და სპეციფიკური ტაქტიკის შემუშავებას, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გარკვეული დათმობები წვრილბურჟუაზიული ელემენტების მიმართ. ლენინი გარკვეულ დათმობებზე წასვლას მოითხოვდა, ასევე ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართაც. რაც შეეხება ამ უკანასკნელთ, ლენინს აზრით, არათუ საჭირო არ იყო მათი ქონების ნაციონალიზაცია, არამედ პირიქით, უნდა შექმნილიყო ისეთი პირობები, რომელიც გააუმჯობესებდა წვრილი ვაჭრების მდგომარეობას და მისცემდა მათ შესაძლებლობას, თავიანთი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის.

5. ლენინი მოითხოვდა აგრეთვე, რომ აუცილებლად გამონახულიყო შესაძლებლობა და მიღწეულიყო გარკვეული კომპრომისი ჟორდანიას ბლოკთან, თუ სხვა ანალოგიური მიმართულების ქართველ პოლიტიკოსებთან, რომლებიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე არ ყოფილან წინააღმდეგნი საქართველოში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, საბჭოთა სისტემის დამყარების იდეისა.

6. ლენინის ინსტრუქციების თანახმად, იდეოლოგიური მუშაობის სიმძიმე გადატანილი უნდა ყოფილიყო კომუნისტური პარტიის გაძლიერებაზე, ადგილობრივი პარტიული უჯრედების შექმნაზე, და ამ მიმართულებით ფართო ინიციატივის გამოჩენაზე.

ლენინის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მითითება ქართველი კომუნისტების მიერ უსიტყვოდ იქნა შესრულებული, რასაც მას უდასტურებდნენ ტელეგრამები, გაგზავნილი ორჯონიკიძის, ორახელაშვილის და ელიავას მიერ.

საქართველოში საბჭოურ-რუსული სისტემა მისი პრაქტიკაში დანერგვისას, შერბილებული იქნა ზოგიერთი შემდეგი ფორმალური ღონისძიებების გატარებით:

1. სრული ამნისტიის გამოცხადებით წინა მთავრობის ყველა წევრის და ყველა პარტიის მიმართ, რომლებიც იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ; ამნისტია შეეხო ცალკეულ ცნობილ ქართველ მოღვაწეებსაც (იხ. სსსრ რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი 1921 წლის 25 თებერვალი).

2. შენყდა ტერორი. მაგალითად, ბათუმში მხოლოდ ორი ადამიანი იქნა დაპატიმრებული, რომლებიც მალევე გაანთავისუფლეს.

პოლონეთში გამომავალი ჟურნალი, რომელშიც ს. ყურულიშვილი თანამშრომლობდა

მხოლოდ ყოფილი რუსის ჯარების ოფიცრების რეპრესიები არ შეწყვეტილა; განსაკუთრებით დიდ სიმკაცრეს იჩენდნენ დენიკინისა და ვრანგელის ოფიცრების მიმართ. სამაგიეროდ, ქართული ჯარის მოსამსახურენი ან ადრინდელი მეფის ჯარების მოსამსახურენი, რომელთაც შემდეგ არ უბრძოლიათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ყოველგვარი სასჯელის გარეშე იყვნენ დატოვებულნი.

3. საბჭოთა დანესებულებებში სამსახურისათვის მიიწვიეს ცნობილი და გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც არ მიეკუთვნებოდნენ კომუნისტურ პარტიას (მაგალითად, მენშევიკური მთავრობის ყოფილი კომუნიკაციების მინისტრი ამჟამად ხელმძღვანელობს ბათუმის „რევკომის“ ერთ-ერთ განყოფილებას, ხაზინის ყოფილი მინისტრი კანდელაკიც იქვე უძღვება მიწათმოქმედების განყოფილებას).

4. საქართველოს „რევკომმა“ საზეიმოდ გამოაცხადა, რომ აუქმებდა ყოველგვარ „რეკვიზიტებს“, „რაზვიორსტკებსა“ და ნატურალურ გადასახადებს სოფლის მოსახლეობისაგან; „დაე, გლეხებმა და ყველა მშრომელმა სრულიად დამშვიდებულმა გააგრძელონ თავისი შრომა. საბჭოთა ხელისუფლება არა თუ არ ჩამოართმევს გლეხებს მათი შრომის ნაყოფს, არამედ პირიქით, შეეცდება ხელი შეუწყოს მათ“ (რევკომის განცხადება, 1921 წლის 4 აპრილი).

5. წვრილი ვაჭრობის თავისუფლება. რკინიგზის ადმინისტრაცია და მისი ყოველი მოსამსახურე ვალდებული იყო დახმარება აღმოეჩინა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ქალაქში სარეალიზაციოდ მიჰქონდათ პროდუქცია (ბათუმის რევკომის განკარგულება №3).

6. კერძო პირებს ნება დაერთოთ ეწარმოებინათ საგარეო ვაჭრობა.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსკოვი ლენინის ამ მითითებებს პრაქტიკაში განხორციელებას, იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ აპრილის პირველ რიცხვებში საქართველოში გაგზავნილი იქნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ენუქიძე, რათა მას ადგილზე შეესწავლა, თუ როგორ სრულდებოდა საქართველოში ცენტრის ეს მითითებები და დირექტივები. ენუქიძემ დაადასტურა ამ მითითებების განხორციელების აუცილებლობა და საბჭოური სისტემის ცხოვრებაში დანერგვის საჭიროება.

ამრიგად, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ბოლშევიკები ნამდვილად გულწრფელად ცდილობდნენ ცხოვრებაში გაეტარებინათ მოსკოვის მთავრობის ახალი ექსპერიმენტები. ეჭვგარეშეა ისიც, რომ არსებობდა სრული სოლიდარობა მოსკოველ და ქართველ კომუნისტთა ლიდერებს შორის.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, უახლესი ცნობების თანახმად, ცხადი ხდება, რომ საქართველოში ამ ექსპერიმენტმა ვერ გაამართლა და ბოლშევიკებმა ან უნდა გამოიყენონ ჩვეულებრივი „რუსული მოდელი“, ან ისინი ვერ შეინარჩუნებენ ხელისუფლებას.

ყოველგვარი დათმობა პოლიტიკურ არენაზე არათუ არ გამოიწვევს მათი ხელისუფლების გაძლიერებას, არამედ პირიქით, ბოლშევიკებისადმი მტრულ ძალებს შეკავშირების საშუალებას მისცემს. ბოლშევიკები კი, რომლებიც რიცხობრივად ძალზე მცირენი არიან, ცნობილ გარემოებათა გამო, რათა არსებობა შეინარჩუნონ, იძულებულები გახდებიან მიმართონ ტერორსა და ძალადობას.

ყოველგვარი შეღავათები სამეურნეო საქმიანობის სფეროში, ისეთი კომუნისტური მეთოდების არსებობისას, როგორებიცაა: მრეწველობის, კაპიტალის, საცხოვრებელი სახლების, მსხვილი ვაჭრობის განსახელმწიფოებრივობა, კერძო ინიციატივის ჩახშობა, შრომის მილიტარიზაცია, და ა. შ. შედეგად, მოიტანს არა ქვეყნის ეკონომიკურ მოძლიერებას, არამედ პირიქით, კომუნისტებისადმი მტრულად განწყობილი „წვრილკაპიტალისტური სტიქიის“ მომძლავრებას, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ კი, არაჯანმრთელი სპეკულაციის წარმოშობას, ყველაზე დახვწილი ფორმის ... ბაკაკეშვილი წარმოების აღმოცენებას და ა. შ.

ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ყოველდღიურად უფრო მეტი და მეტი ძალადობა ... ხდებიან ... ხდებით და უფრო ხშირად აქვს ადგილი იმის საწინააღმდეგო ქმედებებს, რასაც ლენინი მოითხოვდა თავის ინსტრუქციებსა თუ განკარგულებებში საქართველოსთან დაკავშირებით. რაც შეეხება საქართველოს, როგორც ერის დამოუკიდებლობას, ესეც მხოლოდ ქაღალდზე აღმოჩნდა დაურღვეველი.

სინამდვილეში საქართველოს განაგებს ლენინის დირექტივები და მისი „თვალი“, რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში — ორჯონიკიძე.

ხელისუფლების რუსიფიკაცია ნელ-ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ მიმდინარეობს. თუმცა, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში რუსული ენა ქართულის გვერდით არის შემოღებული, მაგრამ ყოველი სახის განცხადება იწერება მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე. სამხედრო დაწესებულებებში მხოლოდ რუსული ენაა გაბატონებული. სკოლებში მის სწავლებას სავალდებულო ხასიათი აქვს.

ეგრეთწოდებული „სოვნარკომის“ ხელმძღვანელად დანიშნეს ბროდსკი, რკინიგზის უფროსად ინჟინერი მოლჩანოვი, ბათუმის რევკომის წევრად — პეტცოვი, თბილისისა — სოკოლოვი, აჭარისა — ვოსოკინი, და ა. შ. ყოფილ ელჩს საქართველოში, კიროვს, რომელიღაც მაღალი თანამდებობისათვის ამზადებენ, სამაგიეროდ, მოსკოვში გაიწვიეს ქავთარაძე, როგორც რუსი კომუნისტებისათვის არასაიმედო პიროვნება.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

სატირა

დგას საქართველო მშიერი...

გაჭირვება გვაქვს ისეთი,
დაანგრევს სალსა კლდესაო,
მშრომელი ხალხი შიმშილობს
სიცოცხლე უმძიმს გლეხსაო.
სამუშაო და ხელფასი
წარსულს ჩაბარდა ძველსაო,
დგას საქართველო მშიერი
ხელგამოწვდილი დღესაო.
ნახმარ ტანსაცმელს „გვჩუქნიან“,
ჩამოწერილს და მთელსაო,
მადლობას ვუხდით, მაშ რა ვქნათ,
ვუფასებთ „სიკეთესაო“.

ადრე ჩვენს ტურფა სამშობლოს
ვადრიდით სამოთხესაო,
ბევრმა დატოვა სამშობლო,
დაადგა შორსა გზებსაო.
აწ ჯოჯოხეთად ქცეულა,
აღარ ჰგავს სამოთხესაო,
ხალხის რჩეული შვილები
როს მიწას ჩაუწვესაო.
მხიარულების მაგივრად
ხალხის გაისმის კვნესაო.
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
რა დაგმართნია ესაო?

რომ მოკაშკაშე მზის სხივიც
დაგბნელებია დღესაო.
აღარ გაისმის „ურმული“,
აღარც „ნამგალო გლესავო“,
შრომა გვინდა და ვერ ვშრომობთ,
ბორკილი გვადევს ხელსაო.
უფალ ღმერთს შევევედრები,
ცოტას ვთხოვ, განა ბევრსაო,
დასაღუპავად ნუ გვწირავს
ისეც პატარა ერსაო.

ლიანა ბალაშვილი

ირანშიც სტალინური „ხუთწლედები“ იძნება?

ირანის პრეზიდენტმა ხატამიმ თეირანის უნივერსიტეტში წარმოქმული სიტყვაში მოუწოდა ქვეყანას წარმოების გაზრდისკენ, რათა ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობა დამყარდეს. განსაკუთრებით მოუწოდებს იგი აქეთკენ გადამამუშავებელ მრეწველობას, რომელიც, მისი სიტყვით, ეროვნული ეკონომიკის ხერხემალია, აგრეთვე მოითხოვს ექსპორტის სხვა სახეთა გაზრდას, ნავთობის გარდა. ნავთობის შემოსავალი, მისი სიტყვით, მთლიანად უნდა მოახმარდეს ქვეყანას ინფრასტრუქტურის და მის თანამედროვე მწარმოებელ ქვეყანად განვითარების მიზნებს. ნავთი კი უნდა დაიზოგოს „შთამომავალთათვის, რომლებიც ჩვენი რესურსების მემკვიდრენი არიან“. სახელმწიფო ჩარევის გარეშე ირანის ეკონომიკის საქმე არც ისე კარგად მიდის. მაგალითად, პური გაძვირდა 20%-ით. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ეკონომიკაში მესაბოტაჟეები ბოგინობენ და ფასებს ხელოვნურად ამაღლებენ.

ნაზარბაევმა ხელები აწია

კაზახსტანის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა, 27 აპრილის „უოლ სტრიტ ჯორნელის“ ცნობით, ხელი მოაწერა შეთანხმებას უცხო ბანკებთან თავისი ქვეყნის ნავთობისა და გაზის კომპანიების აქციათა მიყიდვის შესახებ. ადრე მას მტკიცედ ჰქონდა გაცხადებული, რომ ამ დარგში პრივატიზაცია შეფერხდება, სულ ცოტა, ორი თაობით მაინც.

მკვლელობები პაპის დაცვაში

ა. წ. 5 მაისს რომის პაპის იოანე პავლე II-ის დაცვის ახლადდანშნული უფროსი ალოიზ ესტერმანი და მისი მეუღლე მოკლულ იქნენ საკუთარ ბინაში ვატიკანის ტერიტორიაზე და იქვე აღმოჩნდა საკარაუდო მკვლელის ცეცხლსროლილი. ... ტორნეის გვამიც, რომელიც აგრეთვე დაცვის თანამშრომელი იყო. ტორნეიმ, როგორც ივარაუდეს, მკვლელობა იმიტომ ჩაიდინა, რომ ესტერმანი მას სამსახურებრივად ჩაგრავდა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა. მაგრამ სასამართლო ექსპერტიზის შედეგად გაჩნდა ახალი ვერსიაც — რომ ტორნეიც მსხვერპლია და არა თავის მკვლელი.

იტალიაში გამოქვეყნებული დაუზუსტებელი წყაროს თანახმად, აშშ დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს („სი-აი-ეი“) დირექტორთა ცენტრმა გასულ დეკემბერში გააფრთხილა ვატიკანს ოფიციალური პირები, რომ პაპის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ანალოგიური წერილი არის იტალიურ საიდუმლო სამსახურებშიც. ხიფათს მოელიან „ფუნდამენტალისტებისგანაც“ და სხვათაგანაც. მხედველობაში მისაღებია პაპის უარიც, 2000 წელს ესტუმროს იერუსალემს, რაც განაპირობა პაპის უკმაყოფილებამ ისრაელის პოზიციის გამო ახლო აღმოსავლეთის ე. წ. „სამშვიდობო პროცესის“ მიმართ. ნუხილს გამოთქამს რომარიო პრიორეც (იტალია), რომელიც იძიებდა პაპის სიცოცხლის ხელყოფას მეჰმეტ ალი აღჯას მიერ 1981 წელს. ამ ეჭვს აძლიერებს ბოლოდროის სამი ეპიზოდი: წმ. პეტრეს მოედანზე ავტომანქანაში აღმოჩენილი ბომბი, 14 ალჟირელის დაკავება ბოლონიაში და ბომბის აღმოჩენა ბოსნიაში ხიდის ქვეშ, სადაც პაპს უნდა გაევლო.

ახალი ვერსია წარმოშვა ანონიმურმა წერილმა გერმანულ გაზეთ „ბერლინერ კურიერისადმი“, სადაც ნათქვამი იყო, რომ ესტერმანი აღმ. გერმანიის უშიშროების სამსახურის „შტაზის“ აგენტი იყო, რომელიც თავის დროზე გადაბირა ამ სამსახურის საგარეო დაზვერვის უფროსმა ვოლფმა. მაგრამ ეს ვერსია მოიხსნა მას შემდეგ, რაც თვით ვოლფმა განაცხადა, ჩვენი აგენტი ვატიკანში სხვა იყოო და არა ესტერმანი.

„კოსოვას განთავისუფლების არმია“ სერბების ძმილეგაა?

როგორც წერს ავტორიტეტული გაზეთი „დი პრესე“ (2 X), კოსოვას დემოკრატიული ლიგიდან წამოსული მინიშნებები იმაზე მეტყველებენ, რომ არაა გამორიცხული, „კოსოვას განთავისუფლების არმია“ თვითონ სერბული მხარის შექმნილი იყოს საპატიო საბაბის მოპოვების მიზნით, რათა კოსოვაში თავისი შეიარაღებული ძალები ზარდოს. სერბებმა ძალიან კარგად იციან, სად არიან „მეამბოხენი“ და „ორ წუთში“ შეუძლიათ მათი განადგურება — განაცხადა ერთ-ერთმა ყოფილმა ოფიცერმა, ამჟამად ჟურნალისტმა. „დი პრესე“ ავსტრიის სამხედრო დაზვერვის შეხედულებათა გამომხატველ გაზეთად ითვლება.

რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისათვის და მისი გაკვეთილები

მეექვსე გვერდიდან

2) იმდროინდელი ქართლ-კახეთის სამეფო იდეოლოგიურად ისე იყო დაქსაქსული, როგორც დღევანდელი — ზოგი რუსეთისაკენ იყურებოდა, ზოგიც ირანისა თუ ოსმალეთისაკენ და იყო ერთი იდეოლოგიური გაწევ-გამოწევა;

3) ერეკლე მეფეს საკუთარმა შვილებმა, ახლობლებმა და გვერდით მდგომებმა უღალატეს და ლამის მარტოხელა მოხუცი შეატოვეს ხელში გამძვინვარებულ საჭურისს;

4) ერეკლე მეფეს ასევე უღალატეს და მხარი არ აუბეს საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველმა თავადებმა (რასაკვირველია, გამონაკლისების გარდა).

5) კრწანისის ტრაგედიის მთავარი მიზეზი და შემოქმედი იყო ორპირული, ცბიერი და ვერაგი პოლიტიკა რუსეთის იმპერიისა.

6) კრწანისის ტრაგედიაში ლომის წილი (თუ მეტი არა) დაიდეს ჩვენი უახლესი მეზობლების — სომხების წარმომადგენლებმა. (გაიხსენეთ, როგორ შემოაბრუნეს ხოჯაყოფილი არარატიანცმა და ბებუთოვმა და ააოხრებინეს თბილისი) — იმ მეზობლებისა, რომელთა ისტორიულ გადარჩენაში მართლაც რომ ლომის წილი დაიდო საქართველოს სახელმწიფომ და ა. შ. და ა. შ. აღარ გავაგრძელებთ სხვა მიზეზთა ჩამოთვლას.

ახლა გავიხსენოთ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია (თუკი მას გახსენება სჭირდება) და დავწმუნდებით, რომ კრწანისის ტრაგედიის გამომწვევი ზემოხსენებული მიზეზები უკლებლივ, და უფრო აღმატებულადაც, სახეზე გვაქვს.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ბოლო ორი მომენტი — რუსეთისა და ჩვენი საკუთარი სომეხი მოქალაქეების „ღვაწლი.“

ამის შემდეგ ვიკითხოთ, შეიძლება კი აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შეფასება მომავალს მივანდოთ? არამც და არამც.

ჯერ ისიც მეტად ბუნდოვანია, შეძლებს კი საქართველო უახლოეს პერიოდში ამ თავისი ძირძველი, სისხლხორცეული კუთხის დაბრუნებას, თუ მის დაკარგვასაც ისევე შეეგუება, როგორც ტაო-კლარჯეთის, საინგილოს, ლორეს და სოჭი-ადლერის რეგიონების დაკარგვას შეეგუა?

კიდევ უფრო შემაშფოთებელი და აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ აფხაზეთისათვის ომს ბევრი ეთნოკონფლიქტს უწოდებს და არ უწყიან რას ამბობენ.

ჩვენი აზრით, ამ ომს ჰქონდა და აქვს ორმაგი ხასიათი — პირველი და მთავარი, ეს ომი იყო და არის რუსეთ-საქართველოს ომი — რუსეთის მხრიდან აფხაზეთის დაპყრობისათვის ანუ საქართველოს შავი ზღვისპირეთში მყარად დამკვიდრებისათვის, ხოლო ქართველთა მხრიდან — აფხაზეთის შენარჩუნებისათვის. ე. ი. რუსეთის მხრიდან ესაა უსამართლო-დაპყრობითი ომი, საქართველოს მხრიდან სამართლიანი-თავდაცვითი.

მას შემდეგ, რაც რუსეთი გამოვიდა ისტორიის ასპარეზზე, მისი მთავარი მიზანი გახდა სხვისი ტერიტორიების დაპყრობა და ზღვებზე, განსაკუთრებით შავ ზღვაზე გასვლა, ხოლო პეტრე დიდმა — ქართული სისხლის პირველმა რუსმა იმპერატორმა — შავ ზღვაზე დამკვიდრება ანდერძად დაუტოვა შთამომავლობას.

რუსეთმა ამ საუკუნის დასაწყისში სამუდამოდ ჩაიგდო ხელთ ქართული სოჭი-ადლერის რეგიონი. ხოლო საუკუნის ბოლოს, ყირიმის ჯერჯერობით დაკარგვის გამო, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ, აფსუების ზურგს ამოფარებულმა, დაისაკუთროს საქართველოს აფხაზური შავიზღვისპირეთი. ეს „აფხაზური ოპერაცია“ ხომ რუსეთმა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების შეერთებისთანავე დაიწყო.

განა საოცარი არაა თვალი დავხუჭოთ იმაზე, თუ როგორ მონაწილეობდნენ რუსი ჯარისკაცები და, რაც მთავარია, რუსეთის მოქალაქენი — კაზაკები, ჩეჩნები, ადიღეელები, ჩერქეზები და ა. შ. ქართველთა წინააღმდეგ ომში. რუსულ იარაღზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ეს ხომ ყველაფერი ოფიციალურადაა დადასტურებული. უფრო მეტიც, ხომ ცნობილია, რომ სოხუმის შტურმის გეგმა (და არა არტო ის) რუსეთის გენშტაბმა დაამუშავა.

ამის შემდეგ გაოცებას იწვევს იმ პოლიტიკოსთა პოზიცია, რომელთაც არ უნდათ დაინახონ, რომ ყველა განზომილებით და თვისებებით ეს იყო და არის რუსეთ-საქართველოს ომი და არა ეთნოკონფლიქტი ქართველთა და „აფხაზთა“ შორის.

კიდევ უფრო გასაოცარია ის, რომ ყოველივე ამის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, მსოფლიოს წინაშე არ დააფიქსირა, არ აღიარა და ჯერ კიდევ თითქმის არც აღიარებს, რომ აფხაზეთში დაპირისპირებულია ორი მთავარი ძალა — დამპყრობელი რუსეთი და თავისი ტერიტორიების დამცველი საქართველო და ამის გამო მიმდინარეობს თავისებური „თამაში.“

მეორეს მხრივ, ამ ომის თავისებურება ისაა, რომ რუსეთი იყენებს და აქეზებს „აფსუა ფეოდალებს“ (და არა „აფხაზებს“, როგორც ჩვენი ვაითუ კარგი პოლიტიკოსები ამბობენ), რომელნიც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ინფილტრაციით შემოდიან ჩრდილო კავკასიიდან, ახორციელებენ ისტორიული ქართული მხარის აფხაზეთის ანექსიას და აწარმოებენ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ასიმილაცია-გააფსუებას და არა „გააფხაზებას“, როგორც ზოგჯერ ასეთ ნორად ხმარობენ.

სხვა დრო რომ იყოს, გაერთიანებული საქართველოს მეფე გათავხედებულ, აჯანყებულ „აფსუა ფეოდალებს“, მათს თავკაცებს არძინბასა და ძმათა მათთა — ნარიყალას ქონგურებზე ძელზე თუ არ გასვამდა, თვალებს დათხრიდა მაინც.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ ისიც ვერ გაურკვევით და არც ცდილობენ გაარკვიონ — ვინ არიან და საიდან მოვიდნენ აფსუები (დღეს აფსუა-აფხაზები), რომელნიც „აფხაზებად“ ვაქციეთ, ჩვენი კულტურისა და ისტორიის წილნაყარად გავხადეთ, ერიც კი ვუწოდეთ (!) და ახლა თავი ვერ გაგვირთმევია ამ ისტორიული აბდა-უბდისა თუ აბსურდისათვის, რომელსაც ასე ეფექტურად იყენებენ, ერთის მხრივ, რუსები და, მეორეს მხრივ, თითქმის გარუსებული აფსუები.

ყველაფერი ეს კი თავს მოგვახვია ჯერ მეფის რუსეთის იმპერიულმა, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიულმა იდეოლოგიამ, რომელმაც თავდაყირა დააყენა, დაამახინჯა, შერყვნა საქართველოს ისტორია და, ალბათ, დიდხანს კიდევ დაგვჭირდება ნარის გლეჯა.

ისმება კითხვა — მართლაც რატომ ვერ შექმნა ქართველმა აფხაზის სახით მტრის ხატი?

ამაზე შემდეგში ვისაუბროთ.

ბიძინა თავაძე

ქართული ემიგრაცია

საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ

მეშვიდე გვერდიდან

მასობრივ ტერორზე უარის თქმა და ადმინისტრაციული პერსონალის დატოვება თანამდებობებზე ოპოზიციურ პარტიებს მუშაობის საშუალებას აძლევს. ბოლო ცნობების თანახმად, ოპოზიციური პარტიები (მენშევიკები, ესერები და ა.შ.) ძალიან ბევრს მუშაობენ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ თავიანთი თანამდებობები და მოსკოვს ხელისუფლების რუსიფიკაციის საშუალება არ მისცენ. ეს პარტიები შეუპოვარ ბრძოლას აგრძელებენ ორი მიმართულებით: ჯერ ერთი, ორგანიზაციულ სფეროში ისინი ბოლშევიკების ჯაშუშურ სისტემას უპირისპირებენ თავიანთ კონტრორგანიზაციას, რის გამოც ყალბი „უჯრედების“ შექმნაც კი უხდებათ, რომლებიც უპარტიო ადამიანების ან ამ პარტიათა წარმომადგენლებით არიან დაკომპლექტებული. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ძალიან ხშირად ესწრებიან ბოლშევიკურ კრებებს და ზოგჯერ ჩაშლამდეც კი მიჰყავთ იგი. ისინი აგიტაციას ეწევიან გლეხებს შორის, რათა მათ საბოტაჟი და ბოიკოტი გამოუცხადონ ბოლშევიკებს. თანახმად საქართველოს რევკომის განცხადებისა, ოპოზიციონერები ცდილობენ დაარწმუნონ გლეხები, რომ მათ არ დაამუშაონ მიწები და მინდვრების უმეტესობა დაუთესავი დატოვონ, რადგანაც მოსავალს მაინც კომუნისტები წაართმევენ. თუმცა, თავად გლეხებსაც არ სწამთ ახალი ხელისუფლებისა და ქალაქში აღარ მიაქვთ პროდუქცია სარეალიზაციოდ.

მუშებიც თანდათან ზურგს აქცევენ ბოლშევიკებს. მათზე უფრო და უფრო ძლიერდება მენშევიკების გავლენა. ამის შედეგად, ამ ბოლო დროს გამართული რკინიგზის საბჭოს არჩევნებზე არჩეულთა უმეტესობა ანტიბოლშევიკური ძალები იყვნენ. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება თანდათან გადადის საქართველოშიც კომუნისტური ტერორის დანერგვაზე.

შინაგან საქმეთა კომისარმა კვირკველიამ 5 აპრილს გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც მომავალში აღარ დაინდობენ იმ პირებსა და ჯგუფებს, რომლებიც ნებისმიერი სახის აგიტაციას გასწევენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამავე კვირკველიამ განაცხადა, რომ „მუშათა და გლეხთა“ ხელისუფლება იძულებული გახდება მიმართოს რეპრესიებს.



თავის მხრივ, ლენინმა შეიტყო რა საქართველოში ნამდვილად არსებული ვითარების შესახებ, მოითხოვა ქართული რევკომისაგან, რომ მათ „დადგინათ ყველა კონტრრევოლუციური და პროვოკაციური ელემენტები და გაენადგურებინათ ისინი ისევე, როგორც ანტანტის მსახურნი“.

ტერორი ეკონომიკურსა და პოლიტიკურ სფეროშიც ბრძოლის აუცილებელ საშუალებად მოგვევლინა.

მწვავე სასურსათო კრიზისმა, ბაზრიდან საქონლის გაქრობამ გამოიწვია საგანგებო მდგომარეობის თავმჯდომარის ცინცაძის №3 განკარგულება, რომელიც სხვათაშორის მოითხოვს, რომ: „ყოველი ვაჭარი, რომელსაც ამ განკარგულების გამოცემიდან სამი დღის გასვლის შემდეგ, აღმოუჩენენ გადამალულ საქონელს, დახვრეტილი იქნება. მასვე ჩამოერთმევა მთელი ქონება. ეს სასჯელი მიყენებული იქნება არა მხოლოდ თავად ვაჭრების მიმართ, არამედ იგი გავრცელდება მისი ოჯახის წევრებზეც, თუკი დადგინდება, რომ ისინიც მონაწილეობდნენ საქონლის გადამალვაში“.

დაპატიმრებულთა უმრავლესობას თბილისიდან და ბათუმიდან აგზავნიან ყაზბეგში, სადაც მათ მალულად ხვრეტენ.

გლეხებისადმი ის შეპირებაც, რომ საბჭოთა მთავრობა მათ ხელს შეუწყობდა შრომაში და მიღებულ მოსავალს არ წაართმევდა, მხოლოდ დაპირებად დარჩა. სიძნელეებმა, რომლებიც გამოწვეული იყო წითელი არმიის სურსათით მომარაგებაში, აიძულა ხელისუფლება რეკვიზიცია მოეხდინა სოფლად არსებული სიმინდისა, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია იმერეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში.

ბოლო მონაცემების თანახმად, საქართველოს რევკომმა გამოაცხადა მთელი მიწების განსაზოგადოებრიობის შესახებაც.

საგარეო ვაჭრობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნებადართულია კერძო პირებისათვის, მაგრამ ბოლშევიკური ბიუროკრატიზმი ხელს უშლის ნებისმიერი ინიციატივის გამოვლენას ამ სფეროში. საქონლის შემოტანაზე ნებართვის მისაღებად საჭიროა თბილისში არსებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატის დასტური. ეს ორგანიზაცია კი ნებართვას იძლევა მხოლოდ ისეთი საქონლის შემოტანაზე, რომელიც საჭიროა არა საქართველოსთვის, არამედ რუსეთისათვის, კერძოდ, მარცვლეულზე, შაქარზე და ა. შ.

ასეთ სიტუაციაში საქმიანობა მხოლოდ უცხოელ ვაჭრების შეუძლიათ, მაგალითად, იტალიელებსა და შვედებს. ყველა იტალიური ფირმა დარჩა საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგაც. შვედურ ფირმებს „ბალტიკსა“ და „აკრეკ ვერკეს“ ბათუმში სასოფლო-სამეურნეო იარაღების უდიდესი საწყობები გააჩნიათ და იმედი აქვთ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანში შესძლებენ ამ საქონლის დიდი პარტიების რეალიზაციას.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ წამოიწყო ძალზე ენერგიული საქმიანობა თავისი გავლენის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად. კერძოდ, იგი ანხორციელებს ფართო ორგანიზაციას „უჯრედებისა“ სამთავრობო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, არმიაში, ნებისმიერი სახის საწარმოში. გამართული აქვს ნამდვილი პროპაგანდული ვაკანალია პრესსა თუ რადიოს საშუალებით. ფორმირებას უკეთებს „განსაკუთრებული დანიშნულების“ კომუნისტურ რაზმებს, ყოველ ნაბიჯზე ატარებს „საბჭოური მშენებლობის“ კურსებს და ა. შ. მეორეს მხრივ, ყოველმხრივ ცდილობს აღმოფხვრას ნებისმიერი სახის ანტიბოლშევიკური გამოსვლები სამთავრობო დაწესებულებებში.

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა, მაგალითად, რომ მის მიერ გაგზავნილი პარტიული მუშაკები დაუყოვნებლივ ყოფილიყვნენ მიღებული თანამდებობაზე.

საქართველოში არსებული სიტუაცია საშუალებას იძლევა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. საბჭოთა ხელისუფლების მცდელობებმა, რომელსაც სურდა საქართველოში შეექმნა რაღაც გარდამავალი მდგომარეობა რუსეთსა და საზღვარგარეთს შორის, არ გაამართლა.

2. დასაწყისში რეპრესიებზე უარის თქმამ გამოიწვია ოპოზიციური მოძრაობის გაძლიერება და საბოლოოდ მაინც აიძულა საბჭოთა ხელისუფლება მიემართა ტერორის ჩვეული მეთოდისათვის.

3. ინტელიგენციას, სამხედროებს, გლეხებსა და მუშებს შორის ოპოზიციური განწყობილების გაძლიერება ჰქმნის უახლოეს მომავალში კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობას ამა თუ იმ ფორმით საბჭოთა ხელისუფლებასთან, მაგრამ ბრძოლა საბჭოებთან იქნება ძალზე ძნელი, რადგან მოსკოვი საქართველოში აყალიბებს უდიდეს სამხედრო საყრდენ ბაზას ახლო აღმოსავლეთში და ასევე სპარსეთსა და ინდოეთში საომრად. რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარისკაცები და უდიდესი რაოდენობის საბრძოლო ტექნიკა ეჭვგარეშეა ძალზე გააძნელებს ან საერთოდ შეუძლებელს გახდის ქართველების ყოველგვარ ბრძოლას დამპყრობლებთან.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

მეოთხე გვერდიდან

პოლიტიკისა და დიპლომატიის დარგში

პრეზიდენტის კონცეფცია (თუ შეიძლება აქ ეს მაღალფარდოვანი სიტყვა ვიხმაროთ) აფხაზეთის პრობლემის გადაჭრისა სამ წანამძღვარზე დგას. სამივე ეს წანამძღვარი გულუბრყვილო შეცდომას ან, კიდევ უარესი, შეცდომის იმიტაციას ემყარება. **ერთი**ის გახლავთ, რომლის "გამოც პრეზიდენტი მეათედ, მეასედ და, შესაძლოა, მეორასედაც გამოთქვამს გოცებას ისეთი თავისთავად ცხადი და მოსალოდნელი მოვლენების გამო, როგორიცაა „ესენგეს" (იგივე რუსეთის) „სამშვიდობო" კონტიგენტის უმოქმედობა ქართველი მოსახლეობის დაცვაში და მისივე აქტიურობა აფსუა და სხვა მკვლელების დახმარებაში. მას უკვირს, რომ სამშვიდობო ძალები „სამიტის" გადაწყვეტილებებს კი არ ასრულებენ, თურმე, არამედ, პირიქით, სწორედ სამიტის გადაწყვეტილების შემდეგ, რომელსაც გაეროს უშიშროების საბჭომაც დაუჭირა მხარი, დაიწყო ცნობილი მოვლენები გალის საკონტროლო ზონაში. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ხსენებული გარემოება არ აღუძრავს პრეზიდენტს ეჭვს, „მშვიდობისმყოფელებს" სწორედ ამის გაკეთება ხომ არა აქვთ ნაბრძანები ესენგეს მიერ ან ესენგეს მბრძანებლის — რუსეთის მიერო. არც იმ ფიქრს ბადებს „სამშვიდობო კონტიგენტის" ეს ვერაგობა მის ფხიზელ გონებაში (ფხიზელი გონება კი, მოგეხსენებათ, პრეზიდენტთა ღირსებების სავალდებულო ასორტიმენტს ეკუთვნის), რომ იგივე ბედი — „სამშვიდობო" ძალების მიერ არშესრულება — მომავალი „სამიტების" ყველა იმ გადაწყვეტილებასაც ელის, რომლებიც ასე თუ ისე ქართველების ინტერესების გათვალისწინებით იქნება მიღებული. პრაქტიკულად, ეს იმას ნიშნავს, რომ არასოდეს არაა გამორიცხული, სანამ ის ჯარი იქ დგას, რომ მისი დაცვით და დახმარებით არძინბას ბანდები იქ ქართველების სისხლს დაუსჯელად და დაუბრკოლებლად დაღვრიან. გულუბრყვილობა, რა თქმა უნდა, ადამიანის ზნეობრივ დეფექტთა რიცხვს არ ეკუთვნის. (პირიქით: „ჰოი, წმინდაო გულუბრყვილობავ!" ერთ-ერთი მოარული გამოთქმაა, რომელიც ინკვიზიციის ეპოქამ გვიანდერძა). არსებობს, ხალხური ლექსი ამ თემაზე, რომელიც გულთბილ დამოკიდებულებას უფრო გამოხატავს თავისი პერსონაჟისადმი, ვიდრე გმობას:

ღმერთმა მოგცა ბატის ტვინი,
ინდაურის გონება,
ერთ კვირაში შეგაჭამა
მამაშენის ქონება.

მაგრამ თუ მე მაქვს უფლება, მამაჩემის ქონება პოკერში ან ყომარში წავაგო ჩემი წინდაუხდაობით, განა ეს იმას ნიშნავს, რომ უფლება მაქვს ასევე მოვიქცე იმ ადამიანთა სიცოცხლეს, რომელთაც თავი მანდეს არჩევნების გზით?

მეორე წანამძღვარი გახლავთ ამდენადვე გულუბრყვილო (ან „გულუბრყვილო") ნდობა არძინბასადმი, რომელსაც პრეზიდენტი მზადაა მეათედ და მეასედ ანდოს ამ მარიონეტისათვის ზოოლოგიურად საძულველი ქართველი მოსახლეობის სიცოცხლე.

და ბოლოს, პრეზიდენტის პოლიტიკური მსოფლმხედველობის **მესამე** საყრდენია ამდენადვე გულუბრყვილო რწმენა, თითქოს საკმარისია ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა დამარცხებული და უბედური ქვეყნის პრეზიდენტი შეაქონ მშვიდობისმყოვარეობისა, დემოკრატიის მოყვარეობისა და რეფორმების მოყვარეობისათვის, რათა ეს ქვეყანა მაშინათვე გამარჯვებულ და ბედნიერ ქვეყანად იქცეს.

საქართველოს პრეზიდენტის მოქმედებას ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედების თავიდან აცილებისათვის მისცეს მაღალი შეფასება ევროსაბჭოს ხელმძღვანელობამ, მრავალმა სხვა ევროპულმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, პოლიტიკურმა მოღვაწეებმა.



— ასე ბრძანებს პრეზიდენტი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ სისხლიან ტრაგედიაზე მსჯელობის კონტექსტში.

თავის ზეწოლას პრეზიდენტს სიყვარული მეზობელი გიგანტისადმი ინტერვიუში მაშინ ალწევს, როცა ჩივის, რამდენჯერ მივენდეთ და დავეყვედმდებარეთ რუსეთს და არც ერთხელ არ გაგვიმართლა — მეტი რალა ვქნათ, რით დავუმტკიცოთ ჩვენი ერთგულებაო?! ამ კითხვას ძალიან მარტივი პასუხი აქვს: რა ვქნათ და ნულარ გავუგორდებით ფეხებქვეშ! გამოვიყენოთ თავის დაცვის ის საშუალებები, რომლებიც რეალურად გვაქვს: რუსეთის აგრესიის გამო ჩივილით მივმართოთ გაეროს და თვით რუსეთს ოფიციალური ნოტით. ეს რუსეთის აგრესიის დაბლოკვის რეალური, ქმედითი საშუალება გახლავთ და უსინდისოდ ტყუის ის, მსმენელის გაუნათლებლობაზე დაიმედებული, ვინც ამტკიცებს, თითქოს ასეთი ჩივილი ფუჭი ბგერა და ფარატინა ქაღალდი იყოს.

პრეზიდენტი მართალს არ ამბობს

პოლიტიკის დარგში

მთავარი სიცრუე (პირდაპირ ვთქვათ ეს სიტყვა, რადგან მოცემულ კონტექსტში მას შემცვლელი არ გააჩნია), რომლითაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება უმასპინძლდება ხალხს, ის არის, რომ იგი ხალხს გადაბრუნებულად აჩვენებს ჩვენი მთავარი პოლიტიკური პარტნიორის და დღეს ყველაზე დიდი მტრის — რუსეთის პოლიტიკას, ზრახვას, ინტერესს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი მოქმედების დედაძარღვს. პრეზიდენტი ამბობს:

„ჩვენი კურსი ჩამოყალიბებულია: ვიცხოვროთ ყველასთან, ყველა მეზობელთან და შორეულთან თანხმობით, მოხდეს ჩვენი ინტეგრაცია მსოფლიო და ევროპულ ცივილიზაციაში. განა ამას არ ესწრაფვის რუსეთი?"

თუ ეს ტლანქი დეზინფორმაცია ე. წ. „დიპლომატიური სვლაა" რუსეთის მიმართულებით, რომელსაც მიზნად აქვს აგრესორის დატკბობა, მაშინ ეს ისევე ბრძნული ნაბიჯია, როგორც დათვის თავზე ფსალმუნის კითხვა. ხოლო თუ ეს ხალხის გულის მომხრობის ღონისძიებაა, ანუ იმისადმი სიყვარულის პროპაგანდაა, ვინც დღეს ქართველი ერის გენოციდის მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია, მაშინ ეს იმდენადვე ზნეობრივი მოქმედებაა, როგორც ბავშვების დარიგება აღმზრდელის მიერ, ელექტროშტეფსელში ხელი შეყავით და ქუჩა წითელ შუქზე გადაკვეთეთო. შესაძლოა, ვინმე ბოროტგანმზრახველმა ადამიანმა, თუკი ამასთანავე სულიერი ჯანმრთელობაც შერყეული აქვს, ასეთი რჩევა მტრის ბავშვებს მისცეს კიდეც, მაგრამ, ალბათ, მსოფლიოში არ მოიძენება ადამიანი, ასეთი დარიგებით რომ საკუთარ შვილებს ატყუებდეს. სინამდვილეში რუსეთის გეგმები ჩვენი ქვეყნის მიმართ **ვიცით,** ხოლო ზოგ მათგანს თვით რუსეთიც ღიად აქვეყნებს. მაგალითად, რუსეთს გამოქვეყნებული აქვს თავისი დოქტრინის ის პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ მისი პოლიტიკა სამხრეთით მოიცავს „აჭარისა და სამეგრელოს ეროვნული დამოუკიდებლობის" გარანტად დგომას. მაგრამ რუსეთის მართლაც სანუკვარი გეგმები ამ მიმართულებით ცოტა უფრო ფართოცაა და ცოტა უფრო რთულიც. მათი იდეალური ვარიანტია საქართველოს ადგილზე ბირთვული უდაბნოს შექმნა (რაკილა საქართველოს ანექსიას მსოფლიო არ ანებებს), რის შემდეგაც მას მეზობლად (მოკავშირე სომხეთის გარდა, ისიც — დროებით) მხოლოდ თურქეთი და მის იქით მდგომი მუსლიმანური სამყარო რჩება, რომელსაც იგი, ადგილობრივი მცირე წინააღმდეგობების მიუხედავად, როგორიცაა ამა თუ იმ რეგიონში გავლენის განაწილება, გლობალურ პოლიტიკაში თავის მოკავშირედ თვლის მისი ანტიდასავლური მიმართულების გამო, აი, **ამ** სახელმწიფოს ერთგულებისადმი ბრმა დაქვემდებარებას უქადაგებს ქართველ ერს მისი პრეზიდენტი და **ამ** მტრის ხახისაკენ ეპატიჟება ერს, რომელსაც დღეს დამოუკიდებლობას კი არა, საარსებო მინასა და ჰაერს ეცილებიან. თქმულიდან გასაგები ხდება პრეზიდენტის შინაგანი პოლიტიკის მიმართულებაც, რომელსაც იგი შესაშური გულახდილობით აცხადებს საჯაროდ, რადგან მისი სამარცხვინო ხასიათი არ ესმის: მისი მიზანია, თურმე, შინაურ მტერთან ბრძოლა („შინაურებს შოვუაროთ, შინაურებსო") და არა გარეგანთან, რომელიც ჩვენს ქვეყანას დღეს მოსასპობად მოსდგომია და არა მხოლოდ დასაპყრობად და დასამცირებლად.

ამ შინაური მტრების ვინაობის განსაზღვრა, რა თქმა უნდა, ცალკე საკითხია და ცალკე სიყალბეა, რომელსაც საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაცია თავისი საპროპაგანდო აპარატის მთელი ძალით ნერგავს. შინაურ მოწინააღმდეგეებში პრეზიდენტი, რასაკვირველია, ოპოზიციურ პრესას და ოპოზიციურ აზრს გულისხმობს, მაგრამ ღიად საქმეს ისე სახავს ამავე ინტერვიუში, თითქოს ზრდილობიანად შენიღბულ კომუნისტებსა და რუსოფილებს, როგორიც შევარდნაძე და მისი პარტია და ადმინისტრაცია არიან, დღეს საქართველოში შეუნიღბავი კომუნისტი გიორგაძე და მისი პარტია უპირისპირდებოდნენ. თუთრი ძაფით შეკერილი ტყუილი გახლავთ! გიორგაძე, გოგუაძე, ორჯონიკიძე, ძერჟინსკი და მათი მსგავსი ნაფტალინიანი „ელემენტები" შევარდნაძეს დღეს „მტრებად" მხოლოდ იმისთვის სჭირდებიან, რომ ამით მსოფლიო მოატყუოს, თითქოს საქართველოში დღეს გამეფებული უძლური და უნიჭო დიქტატურა ამათ წინააღმდეგ იყოს მიმართული და არა საქართველოს ეროვნული და სხვა დემოკრატიული ძალების, მეორე ელი ხალხის მასების, პირველ ყოვლისა კი — ქართული ერის, როგორც ასეთის, და მისი ისტორიული ინტერესების წინააღმდეგ. ვერ ვიტყვით, რომ ამ მარტივ სქემას გასავალი არ ჰქონდეს. მას გასავალი დიახაც აქვს. მისი თეითმხილება მაშინღა ხდება, როცა საქმე კონკრეტულ საკითხებს: „ისენგედან" საქართველოს გაპოსვლას და საქართველოში რუსეთის ბაზების არდატოვებას ეხება, რაშიც შევარდნაძე, გიორგაძე, გოგუაძე, ორჯონკიძე, ძერჟინსკი, ლენინი, პავლე მაროზოვი, სკკპ და „მონკავშირი", კომკავშირი და „სმაკი" ერთნი არიან.

ვერ ვიტყვით, შეგნებული დეზინფორმაციაა თუ მხოლოდ ილუზიაა პრეზიდენტის დაბეჯითებითი მტკიცება, რომელსაც იგი ხშირად იმეორებს. თითქოს სსრკ დაშლა მისი და გორბაჩოვის დამსახურება იყო. სსრკ დაშალა ციგმა ომმა, რომლის უკანასკნელი ზალპი იყო რეიგანის მიერ წამოწყებული „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა." შევარდნაძე კი გუნდში, საფიქრებელია, იმ მიზნით აიყვანეს, რომ უკანდახევათა იმ ხანგრძლივი პერიოდისთვის, რომელიც რუსეთს წინ ედო, ყოველივეს გადასაბრალებლად ერთი არარუსი ჰყოლოდათ.

ეკონომიკის დარგში

ისევე, როგორც ყველა თავის საორშაბათო ინტერვიუში, პრეზიდენტი ამჯერედაც ეკონომიკას ყურადღებას უთმობს და იმ ვარაუდს გამოთქვამს, რომ მტრის ახალი შემოტევა საქართველოზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, ჩვენი ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივამაც განაპირობა. ეს ოპტიმიზმი, სამწუხაროდ, გაუმართლებელია და ამას რიცხვები მეტყველებს. სახელდობრ:

1996 წლის მონაცემებით (შარშანდელი, თუ არ ვცდებით, თავმოყრილი არაა) ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო პროდუქციამ 1989 წელთან შედარებით შემდეგი პროცენტი შეადგინა: უზბეკისტანი — 107%, თურქმენეთი — 79,5%, ბელორუსი — 62,4%, უკრაინა — 49,7%, კაზახსტანი — 47,8%, რუსეთი — 47%, მოლდოვა — 43,6%, სომხეთი — 43,3%, აზერბაიჯანი — 41,6%, ტაჯიკისტანი — 35,2%, ყირგიზსტანი — 35,1%, საქართველო — 17,1%.

რა თქმა უნდა, კითხვა დგას: შესაძლებელია თუ არა ეკონომიკის გაჯანსაღება იმ ქურდბაცაცების ხელში, რომელნიც დღეს მას მართავენ? პასუხი მსმენელს ვანდოთ. ჩვენის მხრივ მოკლე კომენტარით დავკმაყოფილდეთ იმ ერთი წერტილის შესახებ, რომლშიც პოლიტიკა და ეკონომიკა იკვეთებიან და რომელშიც პირველი მეორეს განსაზღვრავს. ამ შენიშვნას გამოვთქვამთ პირველ ყოვლისა საქართველოს მეწარმეთა და, საერთოდ, ყველა იმათ საყურადღებოდ, ვისგანაც საქართველოს საზოგადოების დღეს-დღეობით ყველაზე საჭირო ახალი ფენა — ე. წ. საშუალო კლასი უნდა იშვას. ვიტყვით ძალიან მოკლედ.

რუსეთის სამხედრო ეკონომიკის ხერხემალი გადატეხა ძალიან ჭკვიანი ადამიანების მიერ შედგენილმა და რუსეთისთვის „ყურში ჩაჩურჩულებულმა" პროგრამამ, რომელიც იქ დღესაც ხორციელდება. ამ პროგრამის გატარებასა და ხელშეწყობაში დიდი როლი ეკუთვნის საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს — 1944 წელს შექმნილი „რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მემკვიდრეებს. დღეს მათი როლი საქართველოში მხსნელიც არის და, გარკვეული აზრით, შემზღუდველიც. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოზე, რომელსაც არავითარი „სამხედრო ეკონომიკა" მსოფლიოსთვის სახიფათო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სახით არ გააჩნია, დღეს ავტომატურად ვრცელდება იმ ზემოხსენებული ჭკვიანი ადამიანების მიერ რუსეთისთვის შექმნილი პროგრამა ცნობილი პრინციპით „ძროხა დაკლეს, მე წამაკლესო, ცხვარი დაკლეს, მე წამაკლესო." ეს პროგრამა ჩვენს ქვეყანაში იმოქმედებს მანამდე, სანამ რუსეთის სამხედრო მაჩანჩალად დავრჩებით, ანუ ესენგეში ვიქნებით და ჩვენ ტერიტორიაზე რუსეთის ბაზები გვეყოლება. დამთავრდება ეს მაჩანჩალობა და შეიცვლება პროგრამაც. ჩვენ — დასავლეთის მოკავშირე ქვეყანა — იმათ რიცხვში ჩავდგებით, ვისთანაც მრეწველობის განვითარებაც სასურველი იქნება მსოფლიოსთვის და ტექნოლოგიური წინსვლაც.

შემატკივარი.

ქართული ეროვნული

საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ

მერვე გვერდიდან

ჩვენს წინაშე გადაიშალა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის ცოცხალი სახე. ცივილიზებული სამყარო კიდევ ერთხელ რწმუნდება, თუ რას ნიშნავს მშვიდობა საბჭოთა რუსეთთან, და რომ მასთან დადებული ხელშეკრულება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ იგი მეორე დღეს არ იქნება დარღვეული. მათთვის მშვიდობა საჭიროა იმდენად, რომ ყველას თვალი აუხვიონ. ბოლშევიზმი საფრთხეს წარმოადგენს ყველა განთავისუფლებული ხალხებისათვის და იმისათვის, რომ შეხვიდე მათთან რაიმე ურთიერთობაში, საჭიროა იყო ძალზე ფრთხილი და მომზადებული ყველანაირი გართულებებისათვის. ჩვენ ბევრრამ ვისწავლეთ უკვე ამ ხნის მანძილზე. დემოკრატიის საზღვარგარეთული პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს, რადგან იგი მრავალ პირობებზეა დამოკიდებული. ქვეყნის შიდა სიტუაციებმა, სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებამ და ასევე მისმა დამოკიდებულებამ მის გარშემო მყოფი ერების მიმართ, მსოფლიოში არსებულმა საერთო ფინანსურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს დემოკრატიული ხელისუფლების საგარეო პოლიტიკაზე. მაგრამ, თუ ეს ხელისუფლება არის ნამდვილად დემოკრატიული, თუ ვლაპარაკობთ ნამდვილად დემოკრატიულ პოლიტიკაზე — მაშინ მისი საფუძვლები უცვლელი რჩება. ჩაურევლობა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, მათთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება, ურყევი ნება თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, აი, ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრინციპული ხაზი.

საქართველოს ბედი თვალსაჩინო მაგალითი უნდა იყოს, როგორც ევროპისა და ბალტიის სახელმწიფოთათვის, ასევე პოლონეთისათვის. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი, იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იქნება იგი მომავალში, თეთრი, წითელი თუ ყვითელი, არასოდეს არ დათანხმდება თავისი ნებით ახალი სახელმწიფოების არსებობას, და, თუ დენიკინის ძირითადი ლოზუნგი იყო „რუსეთი — ერთიანი, განუყოფელი", ბოლშევიკები, ლოზუნგით — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს", იბრძოდნენ იმისათვის, რათა რუსეთისათვის დაებრუნებინათ დამოუკიდებლობა, მოპოვებული ქვეყნები.

საქართველომ მძიმე ტრაგედია განიცადა. მისი საუკეთესო შვილები დაეცნენ საქარათველოს თავისუფლებისათვის გამართულ ბრძოლებში.

ჯერ კიდევ მცირე ხნის უკან, მდიდარი ქვეყანა ოკუპანტებმა სრულ გალატაკებამდე მიიყვანეს. საქართველოში სიკვდილი უხვ მოსავალს იმკის, იქ გაბატონებულია მწუხარება, ილვრება სისხლი და ცრემლები.

უცხო, შორიდან მოსული ხალხი, რომელთათვისაც გაუგებარია ქართველი ხალხის სული, ამცირებს და ტალახით სვრის ერის წმინდა საგანძურს. გასისხლიანებული ხელებით იტაცებენ მის ბუნებრივ სიმდიდრეს.

ხოლო ევროპა დუმს... მთელი სამყარო დაყრუებულა...

მხოლოდ იქ, ამ გასისხლიანებულ, უბედურ ქვეყანაში არა სდუმან, იქ ბრძოლა მიმდინარეობს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

ქართველ ხალხს არ შეუძლია შეურიგდეს ჯალათებს, იგი შურისძიების წყურვილითაა ავსებული და სწამს, რომ ღირსეული ანგარიშწორების დრო მალე დადგება... სწამს, რომ თავისუფლების მზე მალე ამობრწყინდება.

საქართველოს დღეგრძელობისათვის, მისი ღირსებისა და ბედნიერებისათვის, ბრძოლაში გამობრძმედილი ქართველი ხალხი დგას, როგორც სალი კლდე და მთების ხეობებში სიკვდილს უმზადებს მომხდურთ, რომლებიც ახლა გულს უკოდავენ.

ჩვენ გავიმარჯვებთ.
ჩვენ ვიცოცხლებთ.

პოლონურიდან თარგმნა:
ამბროსი გრიშიკაშვილმა,
პოლონეთის კულტურის
დამსახურებული მოღვაწე

ერთ კაცზე ორიენტირებული ქვეყანა განწირულია დასალუპავად

ანუ რას მოგვიზანს შევარდნაძის გადადგომა?

მეორე გვერდიდან

მე ვერ ვხედავ ვინმეს, რომ უკეთესი შემომთავაზოსო. გარკვეული სიმართლე იმაში ნამდვილად არის, რომ გამოკვეთილი პოლიტიკური ძალა, ოპონენტის სახით, ჯერჯერობით შევარდნაძეს არ ჰყავს და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის გატარების დახვეწილი კონცეფცია ჯერ არავის წარმოუდგენია საჯაროდ. მაგრამ რაც შეეხება მის პოლიტიკურ კურსს, თავად პრეზიდენტის გარდა მის სისწორეს ვერავინ შეაფასებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მის გარდა არვინ უწყის, რა კურსია ეს და სად მიგვიყვანს, თუმცა კი იმ შედეგებით, რაც დღეს სახეზეა, საითაც მივდივართ გასაგებია.

დემაგოგიის გარდა, ვერაფერს უწოდებ ხელისუფალთა მიერ ყველა მარცხის გამართლებას მათ მიერვე მესამე ძალის, ჩრდილოეთელი მეზობლის მოქმედებებით, რომელსაც, როცა სჭირდებათ, თანამდგომს და მოკავშირეს უწოდებენ და როცა სიტუაცია მოითხოვს, მისგან მტრის სახეს ქმნიან. ოპონენტები დიდი ხანია ხელისუფალთ უკიჟინებენ, დაარქვით მტერს მტრის სახელი და შესაბამისი კურსი გაატარეთო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ: ამ უკანასკნელებმა ყურიც არ შეიბერტყეს და საკუთარი, ვითომ გონივრული ორმაგი სტანდარტების აზროვნებითა და ქცევით აგერ, გალში რაც დაგვმართეს, ყველასთვის ნათელია.

უზნეობაა, როცა საკუთარ მარცხს (მარცხებს) არ აღიარებ და ზოგჯერ უჩინარ, ზოგჯერაც ხილულ მტერს აბრალებ ყველაფერს. პრეზიდენტიც იმიტომ ხარ და ხალხმაც იმიტომ განდო საკუთარი ბედი, რომ გონივრულად მართო ქვეყანა და არც მტრის ანკესზე წამოეგო. არც საბაბი უნდა მისცე მას, რომ წამდაუნუმ გატყუოს და თავში გიბრახუნოს. ბ-ნი შევარდნაძე და მისი გუნდის ზოგიერთი წევრი თავის დროზე, ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინ ექსპერიმენტებს ატარებდნენ ფოთში, აბაშაში და სულაც საქართველოში. რა გამოვიდა იმ ექსპერიმენტებიდან, ჩვენი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, მაგრამ გვეჩვენება, რომ საქართველო ამჯერადაც მათი ექსპერიმენტების პოლიგონადაა ქცეული და ამაში გვარწმუნებს ყველა მათი ნაბიჯი საბოლოო შედეგებითურთ.

და ბოლოს: რა სკეთეს მოგვიტანს შევარდნაძის გადადგომა ამ სიტუაციაში? ვფიქრობთ, მისი გადადგომა თუ ძალისმიერი გზით ხელისუფლებიდან მოცილება ქვეყნისათვის სასიკეთო ნამდვილად ვერ იქნება, ყოველ შემთხვევაში, იმ ვითარებაში, რომელშიც ვართ დღეს. არა იმიტომ, რომ მისი წასვლით მართლაც დაიქცევა ქვეყანა, უფრო იმიტომ, რომ შევარდნაძის წასვლის შემთხვევაში შეიქმნება სახელისუფლებო ვაკუუმი, რომლის შევსებისათვის ჭიდილში ის მტერი ჩვენი ქვეყნისა, რომელსაც ხშირად მესამე ძალასაც ვუწოდებთ, ყველანაირი ხერხებით შეეცდება უმაღლესი ხელისუფალის სკამზე საკუთარი, ყურმოჭრილი მონა დასვას და მისი ინტერესებისათვის სასარგებლო საქმე აკეთებინოს. ამის გამოცდილება და უნარი მას მართლაც გააჩნია.

მაშ, რა ვქნათო, მკითხავთ. ჩემი აზრით, შევარდნაძემ, თუ მას მართლაც უნდა, ქვეყანა გადარჩეს და ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთ, საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის კორექტირება უნდა მოახდინოს, საკუთარი გუნდიდან დაითხოვოს კორუმპირებული, უნიჭო ფიგურები, ლაგამი ამოსდოს კორუფციას და ურიგო არ იქნება, თუ პარლამენტსაც დაითხოვს და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს იმ მიზნით, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში მოვიდნენ პატრიოტი, განათლებული, არაკორუმპირებული ადამიანები, რომლებიც დღევანდელი მოქკავშირის მსგავსად მორჩილად კი არ აუწევენ ხელს ქვეყნისთვის საზარალო ყველა კანონპროექტს, არამედ იზრუნებენ იმისთვის, რომ არსებულ რეალობას მოარგონ რეალური კანონები და

ქვეყანა ნორმალური განვითარების გზაზე დააყენონ.

სამწუხაროდ, შევარდნაძეს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, ვერ ვატყობთ იმის სურვილს, რომ ან საკუთარი კურსი შეცვალოს ან თუნდაც მისი გუნდი გადაახალიოს. არადა, მას იმისი ნიჭი, უნარი და გამოცდილებაც ნამდვილად აქვს, მიხვდეს, რომ ლენინისა არ იყოს, ქვეყანაში სიტუაცია სულ მალე გახდება ისეთი, როცა ზემდგომებს მართვა არ ძალუძთ და ქვემდგომებს კი არ სურთ. პრეზიდენტმა ისიც კარგად უწყის, ამ სიტუაციას რაც მოსდევს და ისიც იცის, რომ შედეგი ვერც მისთვის, ვერც მისი გუნდისთვის და ვერც სრულიად საქართველოსთვის სასიკეთო ნამდვილად არ იქნება. ვნახოთ, რას იზამს პრეზიდენტი. ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო...

სერგო ჯანაშია

სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭოს განცხადება

საქართველოში რეკუპაციის შედეგად დამკვიდრებულმა რეჟიმმა სამურზაყანოს მკვიდრი მოსახლეობა წააქეზა შინ დასაბრუნებლად და ახლახან მოაწყო მათზე აფხაზთა შეიარაღებული თავდასხმის პროვოცირება. რუსეთის საოკუპაციო გარნიზონის ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით მოხდა მშვიდობიანი მოსახლეობის ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტა და მამა-პაპური მიწა-წყლიდან ხელახლა გამოდევნა. ცენტრალურმა მმართველობამ „მსოფლიო ომის თავიდან აცილების მიზნით" ცინიკურად შეატოვა მტერს განწირულები. მეტიც, ხალხის დამცველი პარტიზანების ლიკვიდაციის სანქცია გასცა. რეგიონში განმეორებითი ეთნიკური წმენდის დამთავრებისთანავე შევარდნაძემ კვლავ შესთავაზა დევნილებს რამდენიმე დღეში შინ დაბრუნება (?!). ალბათ მესამე წმენდის მოსაწყობად, რითაც მოხდება ლტოლვილთა პრობლემის გადაჭრაც და არძინბას რეჟიმის აფხაზეთში საბოლოოდ დამკვიდრებაც.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

პრივატიზაციის სიახლეები

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის პრივატიზაცია გადაიდო

მეორე გვერდიდან

დილ სილაგაძეც, რომელიც თვლის, რომ „მეტალოგაზოილინვესტსა" და ქონების მართვის სამინისტროს შორის აუცილებლად გამოინახება საერთო ენა, რადგან ხელშეკრულების გაფორმება ორივე მხარის ინტერესებშია.

საკონსტიტუციო სასამართლო პროფკავშირების ქონებაზე დავას განიხილავს

საკონსტიტუციო სასამართლოში დაიწყო საქმის განხილვა მოქალაქეები — ტულუში, სიხარულიძე, რევიშვილი, ხოშტარია, ჯანგულაშვილი და ბოკუჩავა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ. მოსარჩელეები მოითხოვენ ყოფილი პროფკავშირების ქონების გადაცემასთან დაკავშირებული ყოფილი მინისტრთა კაბინეტისა და სახელმწიფოს მეთაურის აქტების არაკონსტიტუციურად ცნობას. კერძოდ, კი საკითხი ეხება ქ. თბილისში ყოფილი პროფკავშირების სასახლისა და თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მდებარე პროფკავშირების სასწავლო ცენტრის შენობა-ნაგებობების თავდაცვის სამინისტროსათვის გადაცემას, ყოფილი გაერთიანება „კურორტმშენის" არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროსათვის დაქვემდებარებას და კურორტ „ნაბეღლავის" ჩოხატაურის გამგეობისათვის გადაცემის კონსტიტუციურობას.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო საქმის განხილვაში მონაწილეობს მოწმის სახით. საქმის განხილვაში ჩართულნი არიან ასევე თავდაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ჩოხატაურის გამგეობა, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, ყოფილი პრემიერ-მინისტრები: თენგიზ სიგუა და ოთარ ფაცაცია. საქმის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განჩინებით მხარეთა შუამდგომლობის საფუძველი გადაიდო 23 ივნისისათვის.

პრივატ-ნიუსი
სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ყოველკვირეული საინფორმაციო-ანალიტიკური
ბიულეტენი
№ 20
დღეს გამოშვებაშია:

. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო 1998 წლის ბიუჯეტს გადაჭარბებით შეასრულებს — გვ. 1-2;

. გამოცხადდა კომერციული კონკურსი სააქციო საზოგადოება „თბილგაზის" აქციების გასაყიდად — გვ. 1-2;

. დაიწყო განაცხადების მიღება 32-ე სპეციალიზებულ აუქციონზე — გვ. 1-4;

27 მაისი 1998 წელი

ქონების მართვის სამინისტრო 1998 წლის ბიუჯეტს გადაჭარბებით შეასრულებს

გასულ წელს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ პრივატიზების თანხების ამოღებისა და ბიუჯეტში მობილიზების გეგმა, დაახლოებით, 170%-ით შეასრულა. სამინისტრომ საკმაოდ კარგი მაჩვენებლებით დაიწყო წლევანდელი წელიც.

ქონების მართვის მინისტრის ავთანდილ სილაგაძის განცხადებით, 1998 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში უკვე მობილიზებულია 14 მლნ. ლარი, რაც წლიური გეგმის 70%-ზე მეტია. საერთოდ, მიმდინარე წელს, გეგმის მიხედვით, ბიუჯეტში პრივატიზებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 19 მლნ. ლარი უნდა შეადგინოს. მინისტრის აზრით, თუკი პირველი ოთხი თვის მაჩვენებლებით ვიმსჯელებთ, სამინისტრო არათუ შეასრულებს გეგმას, არამედ გადააჭარბებს კიდეც.

ასეთი ოპტიმისტური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა იმ მსხვილ ობიექტთა მოსალოდნელი პრივატიზება, რომელთა განსახელმწიფოებრიობა უკვე დღის წესრიგში დგას. ეს უპირველესად ეხება ენერგეტიკის გამანაწილებელ სფეროს და ტელეკომუნიკაციების სფეროს ობიექტებს. სავარაუდოა, რომ თანხების მოზიდვას ხელს შეუწყობს ფოთის გემთმშენებელზე და სააქციო საზოგადოება „თბილგაზზე" გამოცხადებული ტენდერებიც. სხვათა შორის, ამ უკანასკნელზე კომერციული კონკურსი ამ რამდენიმე დღის წინ გამოცხადდა.

პირველი ოთხი თვის განმავლობაში თანხების მოზიდვას ხელი შეუწყო მეტად მნიშვნელოვანი ტენდერების წარმატებით ჩატარებამ და რიგითი მეორე „ნულოვანი" აუქციონის მოწყობამ. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში უკვე შემოსული თანხების, დაახლოებით, მეოთხედი სწორედ საწყისი ფასის გარეშე გამართული აუქციონიდან იქნა მიღებული.

ავთანდილ სილაგაძის განცხადებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ისიც, რომ რამდენიმე უკვე ჩატარებული ტენდერიდან მიღებული თანხები ადგილობრივ ბიუჯეტებშიც მოხვდა. მაგალითად, ასე მოხდა ს.ს. „ჭიათურმანგანუმის" შემთხვევაში:

ამ ობიექტის პრივატიზებიდან შემოსული თანხის მხოლოდ 35 უნდა გადარიცხულიყო რაიონის ბიუჯეტში, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით, ჭიათურა მთლიანი თანხის 65%-ს მიიღებს.

ბოლო დროს, დიდ დაინტერესებას იწვევს საქართველოსთვის ერთ-ერთი სტრატეგიული ობიექტის — ფოთის პორტის პრივატიზების საკითხი. სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ავთანდილ სილაგაძის განცხადებით, სამინისტროში უკვე არსე-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

სპორტის ეროვნულ ფონდს სერიოზული გეგმები აქვს

რეზო აიწურაძე — 54 წლის. დაიბადა ბორჯომში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მსახურობდა ჯარში. არის სპორტის ოსტატი რეგბიში. მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე სპორტის პროფილით. არის საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის გენერალური დირექტორი.

ეს ფონდი 1992 წელს შეიქმნა. იგი თავიდანვე ისახავდა სპორტის განვითარებისათვის ზრუნვას. მათ ხელშეკრულება აქვთ სპორტის დეპარტამენტთან და უფლება აქვთ შემოსავლების 20% სპორტის განვითარებას მოახმარონ. ჯერჯერობით ისინი ცალკეულ სპორტსმენებს და მათ ოჯახებს ეხმარებიან (აფხაზეთიდან დევნილი, მესხის, იამანიძის ოჯახები). სამწუხაროდ სპორტის ეროვნული ფონდი ისევე იბეგრება, როგორც ყველა სხვა საწარმო, ამიტომ დახმარებების საშუალებები არც ისე დიდია.



არც ისე დიდი ხნის წინ გადაწყდა გათამაშებულიყო სპორტული ლატარია და გარკვეული აზრით სპორტლოტოს სამართალმემკვიდრეობად ეს ფონდი შეიქმნა. უცხოელ პარტნორებთან დაიდო ხელშეკრულება საქართველოში ოფლაინის სისტემის ტოტო-ლოტოს მოწყობის და ჩატარების შესახებ. მოხდა 5 მლნ. დოლარის ინვესტიცია, რომელიც 8 წლის მანძილზე უნდა დაბრუნდეს (წლიური 12% სარგებლით). შეიქმნა თანამედროვე ტექნიკით და კომპიუტერებით აღჭურვილი ლატარიის ცენტრი. შეიქმნა სპეციალური პროგრამა. ჩვენი სპეციალისტები გერმანიაში ეუფლებოდნენ ლატარიის გათამაშების მეთოდოლოგიას და მენეჯმენტს. სწავლება თბილისში გაგრძელდა უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით.

ტოტო-ლოტოს რამდენიმე გათამაშება უკვე მოეწყო. იგი პრინციპულად ერთ-ერთი საუკეთესო თამაშია, რომელიც მთელ მსოფლიოშია აპრობირებული. კომპიუტერული დამუშავების სისტემა მას უსაფრთხოს და საიმედოს ხდის, მასში გამორიცხულია ყველანაირი გაუგებრობა. კომპიუტერი თვითონ თვლის მოგებას, გადასახდელებს, ბიუჯეტთან ანგარიშწორებას. ლატარიის ბილეთები გაყიდვისას გადის სპეციალურ რეგისტრაციას და იურიდიული ურთიერთობა მყარდება მყიდველთან.

უნდა აღინიშნოს, რომ მოგება ადგილზე არ იბეგრება, თუმცა მოგებულმა პიროვნებამ წლის ბოლოს პირად დეკლარაციაში უნდა აღნიშნოს მოგების თანხა და საშემოსავლო ჩვეულებრივ გადაიხადოს. საპრიზო ფონდი შემოსული თანხის 50%-ს უდრის. სპორტის ეროვნულ ფონდს სურვილი აქვს მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი სპორტს მოხმარდეს, რომელსაც დღეს სტაბილური დაფინანსების წყარო არა აქვს. მთელ მსოფლიოში, სადაც კი ასეთი ლატარია ტარდება, მოგება სპორტს და სოციალური პრობლემების გადაჭრას ხმარდება.

დღეს ბავშვთა სპორტი სავალალო მდგომარეობაშია: მოედნები მოუვლელია, ინვენტარი ძველია, პირობები ძალიან ცუდი. „ბავშვთა სპორტის დღევანდელ მდგომარეობაზე გული მიკვდება. ჩვენ მოვლონიერდებით თუ არა, გვინდა ჩვენი შემოსავლების სოლიდური ნაწილი ბავშვთა სპორტს მოვახმაროთ. ქართული ხასიათი განსაკუთრებით ჩანს ჩვენს ბავშვებში, ისინი ყოველთვის ერთი თავით მაღლა იდგნენ სხვა ქვეყნების ბავშვებთან თავისი სპორტული მონაცემებით" — ამბობს ბატონი რეზო.

ფონდმა, სხვა უწყებებთან ერთად დაამუშავა კანონი „ლატარიის შესახებ", სადაც ახლებურად არის გააზრებული დაბეგვრის და მოგების პრინციპები, საფუძვლად აღებულია გერმანული კანონის მოდელი, რომელიც საკმაოდ სრულყოფილია. უნდა აღმოიფხვრას ფორმალური და ბიუროკრატიული მიდგომა, რათა ჩვენს სპორტს ძველი დიდება და სახელი დაუბრუნდეს.

კოგა ბრეგვაძე

პრივატიზაციის სიახლეები

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის პრივატიზაცია გადაიდო

ბობს „იუსაიდის“ ექსპერტების დასკვნა, რომელიც ფოთის პორტის რესტრუქტურიზაციასა და შემდგომ მის პრივატიზებას ეხება. სავარაუდოა, რომ „ევლისსათვის ევროგაერთიანების ექსპერტებიც გამოაგზავნიან თავიანთ რეკომენდაციებს.

მინისტრის თქმით, ამის შემდეგ, განიხილება ორივე წარმოდგენილი ვარიანტი და ერთ-ერთ მათგანზე შეჩერდება ყურადღება. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ შემუშავდეს კომბინირებული ვარიანტიც. შესაძლოა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიმდინარე წელს იქნას მიღებული. ყოველ შემთხვევაში, უახლოესი თვეების განმავლობაში, ფოთის პორტთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული დასკვნების გამოტანას ადგილი არ ექნება, ხოლო ავთანდილ სილაგაძის განცხადებით, თუკი ეს მოხდება, საზოგადოებრიობა ფართოდ იქნება ინფორმირებული.

საკმაოდ, საინტერესოა ამერიკული მოდელი. მისი მიხედვით, ფოთის პორტის მართვაზე ტენდერი ერთიანი, ცენტრალიზებული სახით უნდა ჩატარდეს და გამარჯვებულადაც ერთი კომპანია უნდა გამოცხადდეს. ჯერჯერობით, ალტერნატიული ევროპული მოდელი დამუშავების სტადიაშია და მხოლოდ მისი წარმოდგენის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი მათი შეჯერება.

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ავთანდილ სილაგაძის განცხადებით, ყველა შემთხვევაში ნავმისადგომები და ჰიდროტექნიკური ნაგებობები სახელმწიფო საკუთრებაში დარჩება და იგი კერძო მფლობელობაში არ გადავა.



„თბილგაზი“ იყიდება

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ გამოაცხადა კომერციული კონკურსი (საინვესტიციო პირობებით) სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის (3.541.441 ცალი აქცია, საწესდებო კაპიტალის 76) გაყიდვის მიზნით.

ობიექტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 18.

„თბილგაზის“ აქციათა პაკეტის საწყისი გასაყიდი ფასია 6,0 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

საკონკურსო პირობები:

1. სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ მიერ ქ. თბილისის გაზმომარაგების ძირითადი ფუნქციის (პროფილის) შენარჩუნება;

2. 2 წლამდე ვადაში ქ. თბილისის გაზის ქსელების, მათზე არსებული ნაგებობების და კოროზიისაგან დაცვის სისტემების რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის არანაკლებ 30 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტური თანხის ინვესტირება ეროვნულ ვალუტაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის გაზმომარაგების აღდგენა და წინასწარი გადახდის საყოფაცხოვრებო მრიცხველებით აღჭურვა განხორციელდება შემდეგი პროცენტული ოდენობით, წლების მიხედვით: ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველ წელიწადს 40%, მე-2 წელიწადს — 60%.

3. ტექნიკური შესაძლებლობების შემთხვევაში ორგანიზაციების სავალდებულო გაზმომარაგება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე;

4. მომხმარებელთა გაზის მრიცხველებით აუცილებელი აღჭურვა და გაზის უსაფრთხო და შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა;

5. საწარმოს ვალებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება (პირველ რიგში ბიუჯეტისა და სოციალური ფონდების წინაშე);

6. ეკოლოგიური პირობების დაცვა;

7. ძირითადი სამუშაო ადგილების შენარჩუნება, ხელშეწყობა სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეაბილიტაციის განხორციელების 2 წლის ვადაში;

8. შრომითი დასაქმების პროცესში, თანაბარი პირობების არსებობისას სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ კვალიფიცირებული მუშაკებისათვის უპირატესობის მინიჭება.

9. ბუნებრივ გაზზე სარეალიზაციო ტარიფის სავალდებულო გამოყენება, ფასთწარმოქნის შესახებ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად;

10. მყიდველს ეკრძალება აქციათა პაკეტის (მისი ნაწილის), აგრეთვე ძირითადი ფონდების გასხვისება და დაგირავება, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე საინვესტიციო პროგრამის განხორციელების პერიოდში;

11. მონაწილეობის მიღება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში დადგენილი წესის შესაბამისად.

მყიდველმა უნდა უზრუნველყოს „თბილგაზის“ აქციათა საბოლოო გასაყიდი ფასის 51%-ის დაფარვა სახელშეკრულებო ვალდებულებების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დანარჩენი თანხისა 1998 წლის 31 დეკემბრამდე.

ყველა დამატებით ცნობას სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ შესახებ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ მონაცემებისა, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო, ან კომერციულ საიდუმლოებას, ასევე საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ პრეზიდენტი მიიღებს „თბილგაზში“. ინფორმაციის გაცემა ევალება სააქციო საზოგადოების დირექტორს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 22 მაისიდან 24 ივლისის ჩათვლით. კონკურსი ჩატარდება და მასში მონაწილეთა ნინადადებების შემცველი კონვერტები გაიხსნება 27 ივლისს 12 საათზე.

ირმა ბოგოლაძე
კობა ბრეგვაძე

№ 32 სპეციალიზებული აუქციონი

1998 წლის 22 მაისიდან დაიწყო და 22 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება განაცხადების მიღება № 32 სპეციალიზებულ აუქციონზე, რომელზეც გასაყიდად გამოტანილია 145 სააქციო საზოგადოების 3209513 ცალი აქცია.

აუქციონზე გამოტანილია შემდეგ სააქციო საზოგადოებების აქციები:

„იმედი“, „ავიასერვისი“, „ფეიქარი“ (ხონის აბრეშ. ძაფსარ. საგრ. ფ-კა), „იმერეთი“ (ხონის ჩაის კ-ტი), „ბაკალეა“ (საქსურსათბითუმვაჭრობის თბ. ბაზა), „მშენტექნიკა“, „გრდემლი“, „თრიალეთი“ (კასპის საკონს. ქ-ნა), „კაზე“, „ელვა“, „თეთრონი“, „ლომთაგორი“ (მარნეულის საგალანტ. ფ-კა), „სიმონეთის ღვინის ქარხანა“, „გაჩიანი“, „ლაგოდეხი“ (ავტოსატ. ს.აწ.), „სამტრედიის № 2 საკონსერვო ქარხანა“, „ახმეტის ბიოქიმიური ქარხანა“, „მარჯი“ (ზესტაფონის პოლიგრ. საწარმო), „ბაჯითი“ (საჩხერის საშ. მასალათა კ-ტი), „ხრისა“ (სილნაღის მევენ. ფ-კა), „ტრანსპორტი-1“ (ხაშურის სატვ. ასს), „ქუთრანსი“, „სატვირთო ავტოტრანსპორტი“ (სამტრედია), „დილა“ (გორის ხელსაწყოთმშენებელი ქ-ნა), „ქუთაისი“, „რუსთავხორცი“, „ავტომობილი“ (საგარეჯოს სატ. საწ.), „ბადიაური“, „წაღა“, „სავაჭრო ცენტრი „მერკური“ (რუსთავი), „საგარეჯოს ფერმების მექანიზაცია“, „ზანავი“ (ბორჯომის საკონსერვო ქ-ნა), „სამეურნეო საქონელი“. „ბინათმშენებელი“, „ლილო“ (ლილოს საშენ მასალათა კ-ტი), „სალიეთი“ (ჭიათურის მარმარ. მაღ. სამმ.), „ჩიხურა“ (საჩხერის ღვინო-მას.), „ჭიათურის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო“, „რაში“, „მანქანათმშენებელი (ლაგოდეხი), „იმედი“ (სამტრედიის ხორცკომბინატი), „ჭიათურმშენი“, „ავტოტრანსი“ (ხარაგაული), „ბორჯომის ტურისტული გაერთიანება“, „ლეხურა“, „ბანძა“ (ბანძის ჩაის ფაბრიკა), „ავტოტექნიკა“ (ზუგდიდი), „ინგირის ჩაის ფაბრიკა“, „ჰიგიენა“ (ქუთაისი), „ლია“ (წალენჯიხის ჩაის ფკა), „მანქანომონტაჟი“ (რუსთავი), „გორგასალი“ (რუსთავი საშენმას.), „მშვილდოსანი“ (თბილქალაქმშენის № 1 სამმ.), „საქტეშენიტი“ (ტყიბული), „მერანი“ (ახმეტა), „საშენმასალეთა „(საგარეჯო), „მცხეთა“, „ჩაის ფაბრიკა № 1“ (ზუგდიდი). „ნარაზენის ჩაის ფაბრიკა“, „ტრანსფეთქებადინდუსტრია“, სამშენებლო ფირმა „მონოლითი-84“, „აისი“ (სენაკი), „გორგალი“ (სენაკის სატვირთო ავტოსაწარმო), „ტრანსპორტელი“ (ქუთაისი), „ბორჯომის ავტოტრანსი“, „მრეწკავშირი“, „საქგვირაბსეცმშენი“ (თელავი), „ალაზანი“, „თემქ“ (თელავის ექს. მექ. ქ-ნა), „ფეიქარი“ (საჩხერის ბამბ. სართ. ფ-კა), „ტრანსსერვისი“ (ოზურგეთი), „სქური“, „ციცხვი-92“, „სოფლტექსერვისი“, „ავტომობილი“ (თელავი), „ტრანსკვებსერვისი „ალავერდი“, „ელექტროსამაგრები“ (რუსთავი), „ავტომოტოსერვისი“, „ტრანსსერვისი“, „ობჩა“ (ღვინის ფ-კა), „ბაღდათი“ (ღვინის სკფ), „ჯვარი-94“ (ენგურჰეს. მშ. მატ. ტექ. მომარ. სამმ.), „საჭე“ (რუსთავის № 1 სატვ.), „ქუთტარა“, „ელექტროაპარატი“, „ოკამი“ (ღვინის ქ-ნა), „რეა“ (სამკერვალო ფ-კა), „ახმეტის ღვინის ქარხნის მოიჯარეთა ორგანიზაცია“), „მერანი“ (თბილისის წინდების ფ-კა), „ლეოფილიზაცია“, „ორგენერგომშენი“, „თბილექსპედიცია“, „იმედი“ (გორის მრავალდ. ფირმა), „გორკონი“ (გორის № 1 საკონსერვო ქ-ნა), „იუპიტერი“, „სენაკი-93“, „საქსაშენმეცნიერება“, „თბილისი ტყავის საწარმოო გაერთიანება“, „კვადრი“ „დალკი“, „[illegible]ახეთი“ (ავტოკოლონა 2672), „ძეგვის სამრეწ. კომბინატი“, „პლასტიკა“, „მშვიდობა“, „ტვირთმზიდი“, „თბილისის მანქანათმშენებელი ქარხანა“, „სანაპირო-10“, „ახალციხის სამგზ. საშ.“, „თბილმრეწვმშენი-3“, „თბილისის № 1 სატვ. ავტოსატრანსპორტ საწარმო“, „მძლეოსნობის კომპლექსი“, „ბოლნისის ექსპრესი“, „ბაქტ. პრეპარატების საწ.“, „მატეი“, „ყვარელი“, „თბილავტოსერვისი“, „ქიზიყი“ „ქიზიყი“ (მეღვინეობის ფირმა), „მუხიანი“ (წყალტუბოს მეფრ. ფ-კა), „ორბი“ (ახმეტის მეფრ. ფ-კა), „საკარცხული“ (თბილისის გრეხილი ავეჯის კ-ტი), „თბილისი“ (სამშ. სან.), „ავტოტრანსი“ (ასს № 2680), „ოზურგეთის პურკომბინატი“, „ოქროს თავთავი“ (ნავთლულის პურ. კომბ.), „თრიალეთი“, „მუხიანი-98“.

«ქვეყანა არეულია, წინაპართაც არ ახსოვთ ეგზომი განსაცდელი»...

ეგვიპტელი ჟურნალი ანხუ და ქართული სინამდვილე

მე ვჭვრეტ, რაც ხდება, ვწვდები ყოველივეს, რაც ამ ქვეყანაში ახალი ხდება, ცვლილებას მოვლენებისას, ეს წელი წინა წელს არ ჰგავს. რაც დრო გადის, ცხოვრება უფრო მძიმდება. ქვეყანა არეულია, დაცარიელდა ჩემთვის... ჭეშმარიტება განდევნა. ბოროტებამ შეაღწია თვით სამეფო სასახლეში. შელახულია უფლის მცნება. ქვეყანა გაღატაკდა. ყველგან უბედურება ტრიალებს. ქალაქები და მხარეები იტანჯებიან. ყველას უჭირს. მიცვალებულსაც კი აღარა აქვს სიმშვიდე. როცა დილა თენდება, ადამიანები ყოველსავე ხილულს თვალს არიდებენ, რათა არ იხილონ ის, რაც ღამით მოხდა. აი, ამას ვამბობ მე. მტკივა და ტკივილი ვერ დამიფარავს. გულზე დარდი მაწევს. თამამი გული ხომ თავისი ბატონის მეგობარია — განსაცდელში!..

ვხედავ, რაც ხდება. უბედურების კვერი ტრიალებს. წინაპართაც არ ახსოვთ ეგზომი განსაცდელი. ამის გამო ყველა დუმს. მთელი ქვეყანა უბედურებაშია. კაცი არ არის, ბოროტებას არ სჩადიოდეს. გული მიკვდება. ვინც უწინ მბრძანებლობდა, დღეს სხვათა ბრძანებას ასრულებს... გულებს აღარ ძალუძთ რაიმეს შეცვლა. დღევანდელი გუშინდელსა ჰგავს... სისასტიკე გამეფებულა. არ იპოვება ბრძენი, რომ ეს განსაჯოს. არც აღშფოთებული, რომ ხმა აღიმაღლოს. ყოველი დღე ცისმარი ხალხი დალონებული დგება საწოლებიდან. გრძელია და მძიმე ურვა ჩემი. აღარა აქვს ღონე უბედურს, რომ თავი დააღწიოს იმას, ვინც ძალით აღემატება. ძნელია დუმილი, როცა ყოველივე ამას ხედავ. აზრი არა აქვს რეგვენთან დავას. სიტყვის შებრუნება მტრობას შობს. ძნელია თუმცა დუმილი, როცა ეს ყველაფერი გესმის. შეპასუხებას ვერ ითმენენ. ყველას მხოლოდ თავისი სიტყვა მოსწონს. ყველაფერი სიცრუეზეა აგებული. დაკარგულია სიტყვის სიმართლე.

შენ მოგმართავ, გულო ჩემო! მიპასუხე. გული ხომ არ დუმს, როცა შველას შესთხოვენ... მძიმე ტვირთი გაწევს...

მოგვაწოდა
ძეთი ჩადუნელმა

სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭოს განცხადება

მეათე გვერდიდან

საგულისხმოა, რომ შევარდნაძის მარიონეტული რეჟიმი ანალოგიურ ხრკს იყენებს ჩრდილო ქართლის მოსახლეობის მიმართაც. რა ხანია უსაფრთხოების გარანტიების გარეშე აქეზებენ ამ რეგიონიდან დევნილებს შინ დაბრუნდნენ. პარალელურად ფორსირებულად ამზადებენ შიდა ქართლში ოსთა სახელმწიფოს ფორმალურად „აღიარებას“, რის შემდეგაც რუსეთის საოკუპაციო გარნიზონი მთლიანად დაიკავებს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიას და შესაძლოა მეტსაც. ამას კი მოჰყვება რეგიონის მთელი ქართული მოსახლეობის ხოცვა-ულეტის ესკალაცია და ხელახალი დეპორტაცია, ხოლო შევარდნაძის მმართველობა კვლავ „მსოფლიო ომის თავიდან აცილების“ საბაბით ხელებდაკაპიწებული ჩაებმება შიდა ქართლის მკვიდრი მოსახლეობის თავის გადასარჩენ წინააღმდეგობის დაძლევაში და „ჩიბიროვის რესპუბლიკის“ დამკვიდრების მცდელობაში.

მარიონეტული რეჟიმის ზემოთ აღნიშნული ქმედებანი მსოფლიო სტანდარტებით ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის თვალსაჩინო მაგალითია. გაერო, ეუთო, ევროკავშირი, ევროსაბჭო კი თვალს ხუჭავს ამაზე მეტიც, შევარდნაძეს უწონებენ ასეთ საქციელს, ხოლო მათი დანაპირები ფულის უდიდესი წილი არავინ იცის ვის ეკუთვნის, ან რაღაში დასჭირდებათ პერმანენტული რეპრესიების მსხვერპლთ?!

1998 წ. ივნისი

ფირმა «ომეგას» თანამშრომლებზე ნადირობა გრძელდება?..

სხვა სახელს ვერ დაარქმევ, რაც ამ ბოლო ხანს ზედიზედ ორჯერ მოხდა თბილისში, დღისით, მზისით, ღიად, უტიფარი ციინზმით.

ეს სწორედ რომ ნადირობაა და დაჭრავებულ ქილერთა მსხვერპლნი აღმოჩნდნენ ის პროოვნებნი, ვინც მოწმეები არიან „ომეგაზე“ განხორციელებული ორი თავდასხმისა, შეიარაღებულმა ბანდამ ფული რომ წაართვა ამ ფირმის თანამშრომლებს.

როგორც სასამართლო პროცესი აჩვენებს, ფირმა „ელიზის“ მიერ დაკომპლექტებული ბანდა გამომჟღავნდა. მიუხედავად დიდი მცდელობისა, მიეფუჩეჩებინათ ეს ორი ყაჩაღობა, აერიდებინათ სასამართლო პროცესი, ეს პროცესი ბოლოსდაბოლოს მაინც დაიწყო და პროკურატურის მიერ მოძიებული მრავალი მამტკიცებელი საბუთი, რის თაობაზეც საზოგადოებამ შეიტყო სატელევიზიო გადაცემებისა და გაზეთების მეშვეობით, წინასწარვე ნათელს ხდის, თუ როგორ შეიძლება დასრულდეს სასამართლო.

ამაში დარწმუნებულნი არიან ბანდის სხვა წევრებიც. ორგანიზატორობაში ეჭვმიტანილნიც, რომლებმაც მოახერხეს თავდებით გამოსულიყვნენ გარეთ და ახლა, რაკი სხვა საშუალებანი ამოიწურა, როგორც მოვლენების ლოგიკა გვავარაუდებინებს, — უკანონო ქმედებებს მიმართავენ.

თვითონ განსაჯეთ.

ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტი, ბანდის ორგანიზატორობაში ეჭვმიტანილი თამაზ ელიზბარაშვილი და ბანდის წევრი, ასევე ეჭვმიტანილი — ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ ნიორაძე, როგორც ამბობენ, კანონის დარღვევით გამოიყვანეს გარეთ, თორემ, ალბათ, ისე შეუძლებელი იქნებოდა მათი გამოშვება თავდებით. ამაზე თავის დროზე დაიწერა პრესაში.

დროებით გამოშვება განთავისუფლებას არ ნიშნავს და რადგანაც დანაშაულის კვალი, როგორც სასამართლო პროცესიდან ირკვევა, მათკენ მიდის, დღეს თუ ხვალ, აბათ, ისევ უკან მოუწევთ შებრუნება.

ამასობაში უცნობი პირები მძიმედ დაჭრიან ყაჩაღობის ერთ-ერთ მოწმეს და დაზარალებულს მალხაზ სეფაშვილს.

მძიმედ დაჭრიან ყაჩაღობის მეორე მოწმეს დოდო კვერნაძეს (მასთან ერთად ფირმის სხვა თანამშრომელსაც — ილია თავზარაშვილს).

ჯერჯერობით ვერცერთი ვერ დაესწრება სასამართლო პროცესს.

ვითარება საკმაოდ გამჭვირვალეა.

სავარაუდოდ, ვისაც ხელს არ აძლევს მოწმეთა არსებობა, მთავარი დამნაშავეც ის არის მათზე თავდასხმაში.

ყაჩაღთა ბანდის ეჭვმიტანილი წევრები გარეთ არიან.

დიდი კვლევა და ძიება აღარ ჭირდება მთავარ დამნაშავეთა ამოცნობას.

ეს ყველაფერი, რაც ხდება, მაინც დაუსჯელობის სინდრომის ბრალია ალბათ.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ისინი, ვისაც კანონიერების დაცვა, მოქალაქეთა უსაფრთხოება ევალება?

ხომ მოსალოდნელია, რომ კრიმინალებმა ამავე ხერხით სცადონ სხვა მოწმეთა ჩამოცილებაც?

ჟურნალისტის პროფესია უფრო მეტს თქმისა და მოქმედების უფლებას არ მაძლევს, მაგრამ ვისაც საამისო უფლებანი აქვთ, დროზე უნდა მოუარონ და აღკვეთონ ადამიანებზე ეს ნადირობა, თორემ გარდაუვალი იქნება მძიმე შედეგები.

ჯაბა ბასილაძე

— კრიმინალი —

ᲐᲕᲐᲠᲘᲐ

2 ივნისს, დილის 05 საათზე, ბაგების მხრიდან უნივერსიტეტის



მხარეს დიდი სისწრაფით მოძრავი ავტომანქანა „ვოლვოს“ მძღოლმა, მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და ჭავჭავაძის გამზირის 22 ნომრთან, ჭადარს „შეელეწა“. შემთხვევის ადგილას, პირველნი, მეხანძრეები მივიდნენ. ძრავაში გაჩენილი ცეცხლი რამდენიმე წამში ჩააქრეს, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მძღოლი და ორი მგზავრი მანქანიდან გადმოიყვანეს და სასწრაფო დახმარების ბრიგადების მისვლამდე პირველადი სამედიცინო დახმარებაც გაუწიეს. მათ მიერ გამოძახებულმა ექიმებმა, მძიმედ დაშავებულნი უახლოესი საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში მოათავსეს.

ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲨᲘ ᲒᲘᲜᲐ ᲓᲐᲘᲬᲒᲠᲐ

3 ივნისს თბილისში, შუაღამისას კიდევ ერთი საცხოვრებელი, სამართულიანი ბინა ჩამოინგრა. სავანელის ქუჩის ფერდობზე მდგარი, სამსართულიანი სახლის ერთ-ერთმა ძირითადმა კედელმა, გადაბმულ წვიმებს ვერ გაუძლო და მთელ სიმაღლეზე ჩამოინგრა. საბედნიეროდ ჩამოინგრა მხოლოდ კედელი, რომელ-



საც მობინადრეთა მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ თვითონ შენობა ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომელსაც „ავარიულს“ მარტო სიმბოლურად თუ ვუწოდებთ.

შემთხვევის ადგილას მისულმა, მერიის შესაბამისი სამსახურის მუშაკებმა, იშვიათი ორატორული ნიჭი გამოიჩინეს და იმდენი დაპირებებით აავსეს თითქმის უსახლკაროდ დარჩენილი მობინადრენი, რომ კარგა ხანი მართლაც ელოდნენ რაიმე ქმედით დახმარებას. მგრამ უკვე საღამოსთვის, გულგატეხილნი, გზის გასუფთავებაზე და მიყრილ-მოყრილ საოჯახო ნივთების „ამოთხრაზე“ მუშაობდნენ.

ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐᲘᲜᲒᲠᲐ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲗᲐᲜ

3 ივნისს, წერეთლის გამზირის 39 ნომერში მდებარე სამსართულიანი სახლის მაცხოვრებელნი, დილის 05 საათზე უცნაურმა ხმაურმა გამოაღვიძათ, კედლები ჭრაჭუნობდა და შპალერზე, პირდაპირ, მოსახლეთა თვალწინ უზარმაზარი ბზარები ჩნდებოდა. შეშინებულებმა, რამდენიმე წუთში დაცალეს კორპუსი და ქუჩაში გამოეფინენ. უბედურებამაც დიდხანს არ დაყოვნა და სახლი, რომელიც თვალსა და ხელს შუა იშლებოდა,

რამდენიმე საათის შემდეგ საბოლოოდ ჩაიქცა. ნანგრევებმა ქვეშ მეზობელი სახლი მოიყოლა და სანახევროდ გაანადგურა. ტანისამოსის ამარა დარჩენილ მობინადრეთაგან, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

შემთხვევის ადგილას პირველნი, ხანძარსანინააღმდეგო სამსახურის საბრძოლო მანქანები და ამავე სამსახურის ხელმძღვანელობა გამოცხადდა. რამდენიმე წუთში პოლიციის სპეცდანაყოფებმა ალყა შემოარტყეს დანგრეულ კორპუსს და სამაშველო და სამედიცინო სამსახურების მუშაკებთან ერთად, დიდი მონაწილეობა მიიღეს მობინადრეთა საყოფაცხოვრებო ნივთების ნანგრევებიდან გამოტანასა და მათს უვნებელ ადგილას დაბინავებაში. აღსანიშნავია ის, რომ კორპუსის სარემონტო და გასამგრებელი სამუშაოები, რამდენიმე თვის წინ დაწყებულა, მაგრამ რესტავრატორ-რეანიმატორები მხოლოდ ფასადის „შეცემენტება-შელამაზებით“ დაკმაყოფილებულან.

„ᲕᲝᲢᲝ-ᲜᲘᲣᲡᲘ“

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვინონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მოლების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝᲓ!

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲒᲕᲔᲠᲓᲡ ᲣᲗᲛᲝᲑᲡ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ.
ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲨᲔᲓᲐᲕᲐᲗᲘᲐᲜ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ.
ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲘᲡ

ᲣᲤᲐᲡᲝᲐ

ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ ᲢᲔᲚ.: 93-18-41, 93-20-36 ᲐᲜ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ: ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ 5, II ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. რისამე მწვავე ნაკლებობით გამოწვეული კრიტიკული მდგომარეობა; 5. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდება ზოგ არმიაში; 9. ცეკვა ძველქართულად; 11. უკუსვლა განვითარებაში; 12. მდინარე, რომელშიც იოანემ მონათლა იესო; 13. ნეფის პირველი მაყარი ქორწილში; 14. ბანკის უწყისი ფულის გაგზავნის შეტყობინებით; 15. საჯაროდ გამოკრული განცხადება რაიმე ღონისძიების შესახებ; 16. ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ძველეგვიპტური ქალღმერთი; 19. ინდუისტური რელიგიით — ჩადენილ ქმედებათა გავლენა დღევანდელ და მომავალ არსებობაზე; 21. ნარჩევი, რჩეული, გამორჩეული; 23. დიდი მოწითალო შავლაქებიანი მტაცებელი კატისებრთა ოჯახისა; 24. რაიმე დაზიანებულის აღდგენა, შეკეთება; 26. კულიკოვოს ბრძოლაში დამარცხებულ თათართა წინამძღოლი; 28. კონუსის ან ნახევარსფეროს ფორმის შუაზიური გადასატანი სახლი; 29. საზოგადოების მოგებიდან წილის მიღების უფლების მომცემი ფასიანი ქაღალდი; 32. მრწამსი, მსოფლმხედველობა; 34. ერთმანეთში გაყრილი ლითონის რგოლების მოქნილი ასხმა; 36. საუცხოო სილამაზის ქალი; 37. ეკლესიიდან განდევნა; 38. ქარისგან ატაცებული და სადმე მოქუჩებული თოვლი; 39. წრეწირის ნაწილი; 40. დასრულებული შინაარსის მქონე ცალკე ამბავი რაიმე ისტორიისა; 41. რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ოფიცრის პირველი ჩინი მეფის რუსეთის კავალერიაში; 2. ევროპის დიდი კუნძულოვანი სახელმწიფო; 3. გულისნადების შესრულების რწმენა; 4. ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 5. ეგვიპტის დედაქალაქი; 6. უმდაბლესი კასტა ინდოეთში; 7. მიწის თხილი; 8. მცენარეული ელემენტების შერწყმის იაპონური დეკორატიული ხელოვნება; 10. ძალიან პატარა ჭრელი ამერიკული ჩიტი, ჩერდება ჰაერში; 17. საერთო ჩანაფიქრით გაერთიანებული დამოუკიდებელი ნაწილებისაგან შემდგარი მუსიკალური ნაწარმოები; 18. გამომწვარი ალიბი; 19. ხელქმნილი სათაყვანებელი არსება; 20. ერთუჯრედიანი ცხოველი; 21. რაიმეთი ღირსშესანიშნავი დროის დიდი მონაკვეთი; 22. ძვლის შიგთავსი ქონისებრი ნივთიერება; 25. მწერი, რომელიც ფრთებით გამოსცემს სპეციფიურ ხმაურს; 26. ზონარით დეკორატიული წნის ხელოვნება; 27. რაიმე მოთხოვნის შესრულების პირობის უზრუნველსაყოფად დატყვევებული პირი; 30. მთის ხე თეთრი ყვავილითა და წითელი მწკლარტე ნაყოფით; 31. დელფინის ნაირსახეობა; 33. შექსპირის ტრაგედიის მავრი გმირი; 34. ქრისტიანობის სიმბოლო; 35. ძველბერძნული სახელმწიფო მცირე აზიასა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე; 36. საწოლთან დასადგმელი დაბალი პატარა კარადა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

— ვასწავლი: რუსულს, ეკონომიკის საფუძვლებს (ბიზნესის ეკონომიკა), ცოდნას, ჩოგბურთს, თავისუფალი თემები (ჟურნალისტიკის განხრით). ტელ.: 37-35-90; 93-18-41 კობა.

— იყიდება სამხედრო კარავი (ფანჯრებით) 100 კაციანი. ახალი ფასი 500 ლ. ტელ.: 37-35-90; 93-18-41 კობა.

— იყიდება სამოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას გამზირზე მეტრო „გოცირიძესთან“. მესამე სართულზე, ტელეფონით, სარდაფით, ჩაშენებული კარადებით, არის მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-31-59.

— იყიდება პიანინო. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-43-63 იკითხეთ მზია.

— იყიდება ავტომანქანა „მერსედესი“ 280ე ახალი საბურავებით. აზერბაიჯანული ნომრებით. ფასი 1500 ლარი. ტელ.: 74-90-17.

— ვყიდი სავარჯიშო ველოსიპედს (ველოტრენაჟორი) 40 ლარი და კრივის სავარჯიშო მსხალს. ფასი 30 ლ. ტელ.: 39-39-92.

— ვყიდი 90 ვატიან (8 ომიან) დინამიკებს 100 ლარად. ტელ.: 39-39-92.

— ქირავდება 1,5 ოთახიან ბინაში პატარა, ცალკე ოთახი, მეტრო „ვარკეთილთან“ ახლოს. ფასი 40 ლარი. ტ: 73-02-74.

— მოვუვლი ნებისმიერი ასაკის ბავშვს ბინაზე მოყვანით. ვცხოვრობ მეტრო „ვარკეთილთან“ ახლოს. ფასი შეთანხმებით. ტ: 73-02-77.

— ვყიდი ოროთახიან ბინას ავეჯით. ჩეხური პროექტი. არის ადგილი გარაჟისათვის. ფ. 13000 დოლარი. ტელ.: 33-51-48.

— იყიდება კომბაინი: დახლ-მაცივარით და კერძების გამაცხელებლით. ზომა 2.5X1. ფასი 400 ლარი. ტ: 93-18-41 კობა.

— იყიდება სარეცხი მანქანა „ოკა“ 70 ლ.; „მალიუტკა“ 40 ლ.; ელ. სასწორი (20 მგ-დან 50 მგ.) 100 ლ. ტელ.: 96-10-50.

— იყიდება სასწრაფოდ საბურთალოზე კერძო, ორსართულიანი 13 ოთახით, ეზოთი, ავტოფარეხით და ტელეფონით. ფასი 130000 დოლარი. ტ: 93-78-33.

— იყიდება სასწრაფოდ ვაკეში ხუთოთახიანი ბინა მეორე სართულზე 145 კვ.მ. ორი სარდაფით. ფასი 65000 დოლარი. ტელ.: 98-78-33.

— იყიდება ოროთახიანი ბინა ლოჯით, ტელეფონით, ორსართულიანის მე-8 სართულზე, კინო „საქართველოსთან“ ახლოს. ფასი 9000 დოლარი. ტელ.: 61-71-46.

— იყიდება ორი ოთახი 43 კვ. მ. ფართი. მელიქიშვილის და ლამბაშიძის კუთხეში. გამოდგება საოფისედ ან მაღაზიისათვის ან იცვლება სამ ოთახიან ბინაზე. ტელ. 29-27-62.

— იყიდება ოროთახიანი იზოლირებული ბინა 8 სართულიანი შენობის მე-6 სართულზე, სუფთა მდგომარეობაში ლოჯით, აივნით და ტელეფონით. მის: დიღმის მასივი, მე-5 კვარტალი, 25 ა კორპუსი, ბინა 37. ფასი 12000 დოლარი. ტ: 52-36-24.

— ვაქირავებ ადგილს თანამედროვე ტიპის სავაჭრო ობიექტის მოსაწყობად ცენტრალურ მაგისტრალზე მეტროსთან ახლოს. ტ: 877-41-09-70; 899-50-69-86.

— ვაკეთებ მასაჟს შეღავათიან ფასებში ტელ: 60-49-48 ეკა.

— იყიდება საგურამოსთან ორსართულიანი სახლი მანსარდით, ეზოთი. ფასი 4000 დოლარი. ტელ: 36-45-00.

— იყიდება ოროთახიანი ბინა ავჭალაში, საჭირო ავეჯით, გარაჟით, მანქანიანად. (ნისანჩერი). კარგ მდგომარეობაში. ფასი 7000 დოლარი. ტ: 62-90-98 ან 22-47-04.

— იყიდება ჩულურეთში საკუთარ ეზოიანი ორსართულიანი, 6 ოთახიანი ბინა შუშაბანდებით, სათავსოებით 120მ². ერთსართულიანი ბინა 2 ოთახი სათავსოებით 45მ². ფასი 20 ათასი. ტ: 32-47-37.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. მუმიო 5. ჩარჩო; 8. მადლი; 9. ტრეკი; 10. არჩვი; 11. ახო; 13. რუმბა; 15. ინა; 17. კრეოლი; 18. პოლისი; 20. ჩაი; 22. ირანი; 23. ყია; 25. მერია; 27. კრავი; 28. ლიბრი; 29. არაბი; 30. იმიჯი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. მიტრა; 2. მდელო; 3. ომი; 4. იდიომა; 5. ჩია; 6. რეჩხი; 7. ოლიფა; 12. ხურმა; 13. რელსი; 14. ანოდი; 16. ნესტი; 19. დარაბა; 20. ჩამჩა; 21. იურტა; 23. ყვავი; 24. ალიბი; 26. ალი; 27. კიი.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲔᲠᲒᲝ ᲯᲐᲜᲐᲨᲘᲐ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: 93-20-36,
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ: 93-18-41

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ Ქ. 5
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66447
ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲘᲗᲘᲠᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ. №06/4-444

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ:
ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: ანა ჯუღელი (რედ. მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), ნუგზარ კოზოლაშვილი (გავრცელების სამსახური), **ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:** კობა კაპანაძე, კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჯანიძე, ნანა ძველაია, დათო ავალიანი. **ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:** ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია

ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ:
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲑᲐᲥᲐᲠ ᲛᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲡᲝᲡᲝ ᲒᲔᲜᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ,
ᲛᲐᲘᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲜᲐᲜᲐ ᲠᲔᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲤᲔᲠᲐᲫᲔ.